



ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა



WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION



მეჩაიეობა საქართველოში: ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

ISET

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
კვლევითი ინსტიტუტი



Agricultural Policy Research Center
at ISET Policy Institute

მეჩაიეობა საქართველოში: ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

კონტრაქტი No. 2013/331728

ENPARD – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
დეკემბერი, 2015 წელი, საქართველო, თბილისი



ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

ევროკავშირი (EU) ხელს უწყობს სოფლად სიღარიბის შემცირებასა და სოფლის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დახმარებით, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. 2013-2019 წლებისათვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონ ევროს შეადგენს. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.enpard.ge

პასუხისმგებლობის აცხადება

დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს დახმარებით და ქეასთან თანამშრომლობით. დოკუმენტის შინაარსი არის მხოლოდ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პასუხისმგებლობა და არ წარმოადგენს ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ქეას პოზიციას.

ISET

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
კვლევითი ინსტიტუტი



Agricultural Policy Research Center
at ISET Policy Institute

მთავარი მკვლევრები:

ირაკლი (რატი) კოჭლამაზაშვილი

ნინო კაკულია

დამხმარე პერსონალი:

ენდრიუ ჰარგრეივისი

გურანდა დარჩიძე

ლია გოდერძიშვილი

პუბლიკაციის დიზაინი:

ანა გრიგოლია

სარჩევი

გრაფიკების ჩამონათვალი.....	6
ცხრილების ჩამონათვალი.....	7
ჩანართების ჩამონათვალი.....	7
ბანმარტება.....	8
აბრევიატურები და აკრონიმები.....	9
1. შუამება.....	10
2. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.....	12
2.1 ჩაის სექტორი მსოფლიოსა და საქართველოში.....	12
2.2 ქართული ჩაის სექტორი.....	12
3. შესწავლის სფერო.....	15
3.1 მეთოდები და მიდგომები.....	15
3.1.1 საოფისე კვლევა.....	16
3.1.2 საველე კვლევა.....	16
3.2 შეზღუდვები.....	16
4. კვლევის არე.....	17
4.1 საქართველოში ჩაის მწარმოებელი რეგიონების მოკლე აღწერა.....	17
5. ქართული ჩაის სექტორის ანალიზი.....	19
5.1 ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში.....	19
5.2 ჩაის ექსპორტი და იმპორტი.....	19
6. კვლევის შედეგები.....	27
6.1 საქართველოს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები.....	27
7. სქემატურად წარმოდგენილი ჩაის ღირებულებათა ჯაჭვი.....	28
7.1 ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ქსელური რუკა.....	28
7.2 ძირითადი ეტაპების აღწერა.....	29
7.2.1 ეტაპი 1: ჩაის წარმოება.....	29
7.2.2 ეტაპი 2 : შეგროვება/ტრანსპორტირება/გადამუშავება.....	29
7.2.3 ეტაპი 3: შეფუთვა/დახარისხება/ბრენდირება.....	30
7.2.4 ეტაპი 4: მარკეტინგი.....	31
7.2.5 ეტაპი 5: მოხმარება და ჩაის შიდა ბაზარი.....	31
7.3 გარე გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში არსებულ კავშირებზე.....	31
7.3.1 საჯარო უწყებები.....	31
7.3.2 განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები.....	32
7.3.3 სექტორული ასოციაციები.....	32
7.3.4 ფინანსური ინსტიტუტები.....	32
7.3.5 კვლევითი ინსტიტუტები/ცოდნის ცენტრები.....	32
7.3.6 საერთაშორისო სავაჭრო გარემო/ლოჯისტიკა.....	32
7.3.7 სერთიფიცირების სააგენტოები.....	33
7.4 ღირებულებათა ნაკადების სქემები.....	33

7.4.1 ქართული შავი ჩაის ნაკადების სქემა (საშუალო და მაღალი ხარისხის დასაყენებელი ჩაი) .	33
7.4.2 მოთამაშეების დამატებული ღირებულება ჭაჭვის თითოეულ რგოლზე	33
7.5 მთავარი მოთამაშეები და მათი ურთიერთკავშირები	36
7.5.1 ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ჭაჭვში.....	36
7.5.2 ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჭაჭვში	36
8. ქართული ჩაის სექტორის SWOT-ანალიზი	39
9. მენეჯერების კოორდინაციები	42
10. ჩაის სექტორის პოტენციალი	47
10.1 დასაქმების შესაძლებლობები.....	47
10.2 დამატებითი შემოსავალი სოფლისა და ღარიბების მხარდასაჭერად	47
10.3 გარემოზე ზემოქმედება	48
11. მსჯელობა და რეკომენდაციები	49
11.1 ჩაის ღირებულებათა ჭაჭვის მთავარი შეზღუდვები	49
11.1.1 საწარმოო შეზღუდვები	49
11.1.2 გადამუშავების შეზღუდვები	49
11.1.3 მარკეტინგული შეზღუდვები.....	50
11.2 რეკომენდაციები	50
ბიბლიოგრაფია	52
დანართი	53

ბრაფიკების ჩამონათვალი

ბრაფიკი 1: ჩაის მწარმოებელი რეგიონები საქართველოში.....	17
ბრაფიკი 2: ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში (მთლიანად და რეგიონების მიხედვით)..	19
ბრაფიკი 3: ჩაის ექსპორტ-იმპორტი 2000-2014 წლებში (ღირებულების მიხედვით).....	20
ბრაფიკი 4: ქართული ჩაის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები 2014 წელს (ღირებულების მიხედვით).....	21
ბრაფიკი 5: ქართული ჩაის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები 2014 წელს (მოცულობის მიხედვით).....	21
ბრაფიკი 6: ექსპორტზე გატანილი 1 კგ. ჩაის ფასები (აშშ დოლარში) ძირითად საექსპორტო ქვეყნებში 2014 წელს (ღირებულების მიხედვით).....	22
ბრაფიკი 7: ქართული ჩაის ექსპორტის ღირებულება 2014 წელს, კატეგორიების მიხედვით (ათას აშშ დოლარში).....	23
ბრაფიკი 8: საქართველოში ჩაის იმპორტიორი 10 ძირითადი ქვეყანა 2014 წელს (ღირებულების მიხედვით).....	24
ბრაფიკი 9: საქართველოში ჩაის იმპორტიორი 10 ძირითადი ქვეყანა 2014 წელს (მოცულობის მიხედვით).....	24
ბრაფიკი 10: იმპორტირებული ჩაის ფასების ევოლუცია 10 მონიშნავ ჩაის იმპორტიორი ქვეყნების ვაჭრობის ღირებულების მიხედვით 2009-2014 წლებში.....	25
ბრაფიკი 11: საქართველოში იმპორტირებული ჩაის ღირებულება 2014 წელს, კატეგორიების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი).....	26
ბრაფიკი 12: საქართველოს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი მონაწილეები	27
ბრაფიკი 13: ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ქსელური რუკა.....	28
ბრაფიკი 14: ქართული შავი ჩაის ნაკადების სქემა.....	33
ბრაფიკი 15: მთავარი სარგებელი და დამატებულ ღირებულებასთან დაკავშირებული საქმიანობები.....	35
ბრაფიკი 16: მენაიეობის კოოპერატივები მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	42
ბრაფიკი 17: მენაიეობის კოოპერატივები რეგიონების მიხედვით	43
ბრაფიკი A1: ექსპორტ-იმპორტის კოეფიციენტი ღირებულების მიხედვით 2000-2014 წლებში ..	56
ბრაფიკი A2: ჩაის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა 2009-2014 წლებში.....	56
ბრაფიკი A3: საქართველოდან ჩაის ექსპორტიორი ქვეყნების ათეული ღირებულების მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო).....	57
ბრაფიკი A4: საქართველოდან ჩაის ექსპორტიორი ქვეყნების ათეული მოცულობის მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო).....	57
ბრაფიკი A5: საქართველოდან ჩაის ექსპორტი კატეგორიების მიხედვით 2009-2014 წლებში ..	58

ბრაფიკი A6: საქართველოში ჩაის იმპორტიორი ქვეყნების ათეული ღირებულების მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო).....	59
ბრაფიკი A7: საქართველოში ჩაის იმპორტიორი ქვეყნების ათეული მოცულობის მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო)	59
ბრაფიკი A8: საქართველოში ჩაის იმპორტი კატეგორიების მიხედვით 2009-2014 წლებში.....	60
ბრაფიკი A9: საქართველოში ჩაის საშუალო ფასები 2006-2014 წლებში	61

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: ფაქტები და რიცხვები ჩაის პლანტაციების შესახებ ჩაის მწარმოებელ რეგიონებში*... 17	
ცხრილი 2: მოთამაშეთა მიერ დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე (1 კგ. მაღალი ხარისხის დასაყენებელ (მზა) ჩაიზე).....	34
ცხრილი 3: მოთამაშეთა დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე (1კგ. დაბალი ხარისხის დასაყენებელ (მზა) ჩაიზე, 4-5-6 ფოთოლი და 1 კვირტი).....	36
ცხრილი 4: ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ჯაჭვში	36
ცხრილი 5: ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჯაჭვში	37
ცხრილი 6: ქართული ჩაის სექტორის SWOT-ანალიზი	39
ცხრილი A1: გამოკითხული ადამიანების სია.....	62
ცხრილი A2: 1 ჰა კარგად მოვლილი, პროდუქტიული ჩაის პლანტაციის მფლობელი მცირე ფერმის (ან შინამეურნეობის) დანახარჯები და სარგებელი	63
ცხრილი A3: მცირე გადამამუშავებელი ქარხნის დანახარჯები და სარგებელი, რომელიც ყიდულობს და ამუშავებს 1 ტ. ჩაის ფოთოლს და ამზადებს საშუალო და მაღალი ხარისხის დამუშავებულ ჩაის, ყიდის საბითუმო ბაზრებზე, შეფუთვის გარეშე, დაუფასოებელს.	64
ცხრილი A4: მსხვილი ზომის ქარხნების ხარჯები და სარგებელი დაბალი ხარისხის ჩაის (დაუფასოებელი ჩაი ტომრებით და აგურა ჩაი) წარმოებისა და დაბალი ხარისხის ბაზარზე მიწოდების დროს.....	65
ცხრილი A5: მსხვილი გადამამუშავებელი ქარხნის ხარჯები და სარგებელი, რომელიც აწარმოებს დაბალი ხარისხის ჩაის და გააქვს ექსპორტზე.....	65

ჩანართების ჩამონათვალი

ჩანართი 1: ჩაის სექტორი საბჭოთა საქართველოში.....	14
ჩანართი 2: შემთხვევის ანალიზი – „თანამშრომლობის შიდა ქაოსი: კომპანია გურია-14-ის საქმე“	43
ჩანართი A1: ჩაის სექტორში ჩართულ პირთა რეგიონული ფორუმის კომუნიკე	53

განმარტება

ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ადამ პელილოს, ლორედანა სორგს, ფატი მამარდაშვილს, ერიკ ლივინისა და ლაშა ლანჩავას სასარგებლო კომენტარებისა და შემოთავაზებებისათვის და თამარ გიორგაძეს კვლევისას გაწეული დახმარებისთვის. დავალებულები ვართ ვასილ წაქაძისგან ჩვენთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების მოწოდებისთვის.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს: ჩაის სექტორში ჩართულ ფერმერებს, მეწარმეებს, მოვაჭრეებს, გადამამუშავებელ საწარმოებს, კოოპერატივებს, ექსპორტიორებს, ექსპერტებს, სამთავრობო დაწესებულებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვებს, ვინც დრო დაგვითმო კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისდროს. გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ყველა მათგანს თანამშრომლობისა და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებაში აქტიური მონაწილეობისთვის.

მართალია, შეუძლებელია ყველა იმ ადამიანის, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ჩამოთვლა, რომელიც დაგვეხმარა კვლევისას, თუმცა გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ქეა საერთაშორისოს კავკასიაში, რეგიონული განვითარების ასოციაციასა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციას.

ტექსტში არსებულ ყოველგვარ უზუსტობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს.

აბრევიატურები და აკრონიმები

ACDA	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
CIS	დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა
CPI	სამომხმარებლო ფასების ინდექსი
CTC	დაქუცმაცება-დახლეჩა-გრეხა (ჩაის ფოთლის გადამუშავების მეთოდი)
DCFTA	შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის
EU	ევროპის კავშირი (ევროკავშირი)
FAO	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FAOSTAT	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კორპორატიული სტატისტიკის მონაცემთა ბაზა
GEL	ქართული ლარი
GeoStat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
HH	შინამეურნეობა
ISET	თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ITC	საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი
LTD	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
L&B	ფოთოლი და კვირტი
MoA	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RICC	საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების რეგიონული ცენტრი
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
UAE	არაბთა გაერთიანებული საემიროები
UK	გაერთიანებული სამეფო
US	შეერთებული შტატები
USA	ამერიკის შეერთებული შტატები
USSR	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
WTO	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

1. შეჯამება

საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ჩაის მწარმოებელი ქვეყანა მსოფლიოში. შავი ზღვის ტენიანი და სუბტროპიკული კლიმატი ქმნის იდეალურ პირობებს ჩაის წარმოებისთვის დასავლეთ საქართველოს ხუთ რეგიონში: აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი და აფხაზეთი. საქართველოში ჩაის წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები მე-19 საუკუნის შუა პერიოდში აღმოაჩინეს და პირველი ჩაის პლანტაციებიც სწორედ ამ დროს გაშენდა.

კომუნისტურ ეპოქაში საქართველო იყო ჩაის მთავარი მწარმოებელი ქვეყანა საბჭოთა კავშირში. ჩაის წარმოების ადგილობრივი მოცულობა საკმარისი იყო საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის ჩაიზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დაკრეფილი ჩაის მოცულობამ 1985 წელს 152,000 ტონა შეადგინა. ამ პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 70 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია არსებობდა. დასავლეთ საქართველოს ბევრ სოფელში მეჩაიეობა ცხოვრების წესად იქცა. წარმოების სხვადასხვა ეტაპზე დაახლოებით 180,000 ადამიანი იყო ჩართული ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში. აღსანიშნავია, რომ 1950-დან 1990 წლამდე ჩაის წარმოების მოცულობა გაიზარდა ხარისხის კომპრომისის ხარჯზე.

საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე, სამოქალაქო ომისა და ბაზრების დაკარგვის პარალელურად, ქართული ჩაის სექტორიც ჩამოიშალა. ჩაის სექტორის ამ რთული მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან დამოუკიდებლობის შემდგომმა მყიფე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სტაბილურობამ თავისი კვალი დატოვა სექტორის საერთო პროდუქტიულობაზე. წლიდან წლამდე ჩაის წარმოებამ იკლო, რის შედეგადაც დღეს მხოლოდ 1,800 ტ. ჩაი იწარმოება. შემორჩენილია მხოლოდ 11 ათას ჰექტრამდე ჩაის პლანტაცია, საიდანაც მხოლოდ 1,700 ჰექტარია პროდუქტიული (დანარჩენ პლანტაციებს რეაბილიტაცია სჭირდება). საქართველოს ჩაის სექტორის სახელოვანი წარსული და არსებული პოტენციალი მიანიშნებს იმაზე, რომ ჩაის წარმოებისა და გადამამუშავების აღორძინებას შეუძლია მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი მოუტანოს დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობას. სექტორს შეუძლია სტაბილური სამუშაო ადგილები და შემოსავლის წყარო

მისცეს ოჯახებს, რითიც თავის წვლილს შეიტანს სოფლებში არსებული სიღარიბის შემსუბუქებაში.

თუმცა საქართველოს ჩაის სექტორში არსებული მდგომარეობა საკმაოდ შემაშფოთებელია. პლანტაციები გავლურებულია, პროცესში ჩართულ საწარმოებს კი არ აქვთ საკმარისი კაპიტალბრუნვა. გლობალური კონკურენციის ბუნებიდან გამომდინარე, ქართველი მწარმოებლებისა და გადამამუშავებლებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე ფეხის მოკიდება რთული გახდა. ამჟამად საქართველო არის ჩაის წმინდა იმპორტიორი, რაც სექტორის ისტორიისა და პოტენციალის გათვალისწინებით ფრიად უცნაურია.

ამ კვლევაში ვაფასებთ ქართული ჩაის სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. ვცდილობთ, დავადგინოთ სექტორის აქტუალური საკითხები. როგორც მსჯელობა გვიჩვენებს, ჩაის სექტორის განვითარების ძირითადი სირთულეებია ნედლეულის (ჩაის მოსავლის) ნაკლებობა, მოძველებული ტექნოლოგია და დანადგარები, საკრედიტო და ინსტიტუციური შეზღუდვები, მარკეტინგული ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, მწარმოებლებსა და ღირებულების ჯაჭვის სხვა მონაწილეებს შორის სათანადო კავშირების არარსებობა. ეს კვლევა აანალიზებს და აარქივებს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვს საქართველოში, ყურადღებას ამახვილებს ჩაის წარმოებაზე, წარმოების დანახარჯებსა და არსებულ ჩაის მარკეტინგულ არხებზე (მათ შორის ექსპორტზე) ფერმერიდან საბოლოო მომხმარებლებამდე.

ამ კვლევაში ჩვენ ვაანალიზებთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლს ქართული ჩაის სექტორის განვითარებაში. 2015 წლის ივლისში, ქუთაისში, ქვა საერთაშორისო კავკასიაში (პროექტის „კოოპერაცია ხელის შეწყობისა და დახმარებისთვის“ ფარგლებში), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და რეგიონული განვითარების ასოციაციის მიერ ორგანიზებულმა ჩაის სექტორში ჩართულ პირთა პირველმა ფორუმმა ხელი შეუწყო ჩაის სექტორში კოოპერაციის მეშვეობით წარმოებისა და გადამამუშავების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ფერმერთა უმრავლესობამ გაიაზრა ის სარგებელი, რაც კოოპერატივმა შეიძლება მოიტანოს. ამჟამად ჩაის სექტორში მოქმედი კოოპერატივების უმეტესობა ინარჩუნებს

მცირე მასშტაბის ქარხნებს, რომლებიც სპეციალიზდებიან მაღალი ხარისხის ჩაის დახარისხებაში, დამუშავებასა და შეფუთვაში. 2015 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, საქართველოში მეჩაიეობის 30-მდე კოოპერატივია დარეგისტრირებული (მათ შორისაა მეორე დონის კოოპერატივი, რომელიც აერთიანებს წარმოებაზე ორიენტირებულ რამდენიმე კოოპერატივს).

საქართველოს მასშტაბით მთლიანი ჩაის პლანტაციებიდან (10,760 ჰა) მხოლოდ 1,700 ჰექტარია პროდუქტიული, რომლის 84% კერძო საკუთრებაშია. დანარჩენი პლანტაციები ითვლება გავლურებულად, რომლის დაახლოებით 60% სახელმწიფო საკუთრებაშია. თუმცა პლანტაციების კერძო მფლობელობის (მათ შორის მიწის გრძელვადიანი იჯარით გაცემის) ხელშეწყობით, შესაძლებელია გავლურებული პლანტაციების დიდი ნაწილის წარმოებაში დაბრუნება.

საქართველოში ჩაის შიდა მოხმარების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ექსპერტებისა და ჩვენი შეფასებებით, საქართველო წლიურად 2 ათას ტ. ჩაის მოიხმარს. მოხმარებული ჩაის უმეტესობა ბრენდირებულია. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოხმარებული ჩაის 80% იმპორტირებულია სხვა ქვეყნებიდან.

აღნიშნული კვლევის საფუძველზე გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით, ჩვენ გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომელთა მიზანი საქართველოს ჩაის სექტორის განვითარების ხელშეწყობაა. ძირითადი რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს ჩაის პლანტაციების ხელახალ დამუშავებაზე, მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებაზე (მათ შორის ორგანული ჩაის წარმოებაზე), ქართული ჩაის მივიწყებული პოპულარობის აღდგენასა და მის წახალისებაზე საქართველოს შიგნით თუ გარეთ.

2. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

2.1 ჩაის საქმური მსოფლიოსა და საქართველოში

ათასობით წელია, მარადმწვანე ბუჩქის (*Camellia Sinensis*) ფოთოლი იკრიფება, მუშავდება და მზადდება. ჩაის ტრადიციულ სამშობლოდ ჩინეთი მოიაზრება. მიუხედავად იმისა, რომ ჩაით ვაჭრობა უფრო ადრეულ პერიოდში დაიწყო, ევროპელმა ერებმა ჩაით მასშტაბური ვაჭრობა XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყეს, ბრიტანეთისა და ჰოლანდიის დაპყრობითი ომებისა და ინდოეთსა და შრი-ლანკაში (იმ დროისთვის ცეილონში) ჩაის პლანტაციების გაშენების შემდეგ. ჩაის საერთაშორისო ვაჭრობაში ამჟამად დომინირებენ ბრიტანული და ჰოლანდიური წარმომავლობის ისეთი მულტინაციონალური კომპანიები, როგორებიცაა, მაგალითად, Unilever, Tata Global Beverages და Twinings. ზოგადად, გლობალური მოთხოვნა ჩაიზე დროთა განმავლობაში იზრდებოდა (დობორჭინიძე, 2008 წ.; ჩენგი, 2015 წ.). ჩაის ბუჩქს დარგვიდან 5-7 წელიწადი ესაჭიროება, რათა მისი ფოთოლი მზად იყოს დასაკრეფად. ერთი ბუჩქის პროდუქტიული სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელიწადზე მეტია. განასხვავებენ სხვადასხვა სახის ჩაის: თეთრს, ყვითელს, შავს, მწვანეს, ულუნს და პოსტ-ფერმენტირებულს. თუმცა ყველა მათგანი ჩაის ერთი და იგივე ფოთლისა და ყლორტისგან იწარმოება. ჩაი გადამუშავების პროცესში ხარისხდება სხვადასხვა სახის საბოლოო პროდუქციად.

მოსავლის აღების შემდეგ, დაკრეფილი ფოთოლი მალევე უნდა გადაეცეს გადამამუშავებელ ქარხანას, რათა თავიდან ავიცილოთ ხარისხის გაუარესება. შემდეგ ფოთლებს აშრობენ და ზოგჯერ აქუცმაცებენ. დაქუცმაცების შემთხვევაში, შემდეგი ეტაპია ჩაის არევა, დაფასოება, ბრენდირება და საცალო და საბითუმო ბაზრებზე გატანა საბოლოო მოხმარებისთვის.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს ჩაის 36 ქვეყანა აწარმოებდა. მსოფლიოს მთლიანი წარმოება 2013 წელს 5 მილიონ ტონაზე ოდნავ მეტი იყო. მთავარი ჩაის მწარმოებელი ქვეყნებია ჩინეთი, ინდოეთი, კენია, შრი-ლანკა, თურქეთი, ვიეტნამი, ინდონეზია, იაპონია, არგენტინა და ბანგლადეში. FAO-ს მთავრობათშორისი ჯგუფის (IGG) სამდივნოსა (ჩენგი, 2015 წ.) და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის (ITC) მონაცემებით (2013 წ.), მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, პაკისტანი და ეგვიპტე. რაც შეეხება ჩაის მთავარ ექსპორტიორებს,

ესენია: კენია, ჩინეთი, შრი-ლანკა, ინდოეთი და ვიეტნამი.

2.2 ქართული ჩაის საქმური

ჩაის კულტივაცია დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო, როცა პრინცმა გურიელმა ჩაის პირველი ბუჩქი ჩამოიტანა და დარგო გურიაში (რომლის ნახვაც დღესაც შესაძლებელია სოფელ გორაბეჟულში). მას შემდეგ ჩაიმ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის პერიოდში. აჭარის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და იმერეთის რეგიონების ნოტიო და სუბტროპიკული კლიმატი იდეალურია ჩაის მოშენებისთვის. XIX საუკუნის ბოლოსკენ, ჩინელი მეჩაიე ლაო ძინ ძაო ჩამოვიდა საქართველოში ჩაის საწარმოებლად. მისი ჩამოსვლიდან დაახლოებით 7 წლის შემდეგ, მისმა ჩაიმ მოიგო ოქროს მედალი პარიზის მსოფლიო გამოფენაზე (Paris World Expo) 1900 წელს. ქართული ჩაის წარმატება გახდა რიგში 1920-იან წლებში თურქული ჩაის პლანტაციების გაშენების შთაგონების წყარო (საქლი, 2011 წ.).

საბჭოთა ხელისუფლება 1927 წლიდან აქტიურად უწყობდა ხელს ჩაის სექტორის განვითარებას. ჩაის წარმოების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, უკვე 1950-იანი წლების შუა ხანებში საქართველო იყო წამყვანი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა საბჭოთა კავშირში, რომლითაც მარაგდებოდა საბჭოთა კავშირის მოხმარების 95% (ნახუცრიშვილი, 2012 წ.). თუმცა წარმოების ზრდა ხარისხის კომპრომისის ხარჯზე ხდებოდა. ტრადიციული ხელით კრეფა, რომელიც 1890-იან წლებში გამოიყენებოდა, მოსავლის მასობრივად მექანიკურმა აღებამ ჩაანაცვლა. 1985 წელს მოსავლის რაოდენობამ 152,000 ტ. შეადგინა (ჰოლი, 2000 წ.), რაც კოლოსალური რაოდენობაა დღეს წარმოებულ 1,800 ტ-სთან შედარებით (საქსტატი, 2014 წ.). თუმცა, ამ ჩაის დიდი ნაწილი, შესაძლოა, დაბალი ხარისხის იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ქართული ჩაის სექტორი პრაქტიკულად ჩამოიშალა. 1990-იანი წლების დასაწყისის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე, საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო, საკუთარ თავზე აეღო ჩაის წარმოების ზედამხედველობა და ორგანიზება. არც ქართული ჩაის მრეწველობის ახალ ბაზრებზე გადამისამართება არ აღმოჩნდა ქვეყნის იმდროინდელი მთავრობის

ამოცანა. 1993-1995 წლების ომმა აფხაზეთში, რომელიც ჩაის ძირითადი მწარმოებელი რეგიონი იყო, თავის მხრივ განაპირობა წარმოების დონის დაცემა. ბევრი მიტოვებული ქარხანა გაიძარცვა, მათი კაპიტალის ძირითადი ნაწილი ქვეყნის გარეთ გაიტანეს (უმეტესად ჯართის სახით).

გაჭიანურებული მოსავლის აღების გამო ჩაის პლანტაციები გაველურდა. ხელახალი დამუშავება ძვირადღირებული პროცესია. ერთი ჰექტარის დამუშავებას დაახლოებით 7000-8000 ლარი სჭირდება. ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ქარხნის სპეციალისტების შეფასებით, პლანტაციების რეაბილიტაციისა და მათი ექსპლოატაციისთვის მოსამზადებლად სამ წელიწადზე მეტია საჭირო. ადგილობრივი ფერმერების მწირი შემოსავლები (საქსტატის 2015 წლის მონაცემებით, საშუალოდ, 495 ლარი თვეში) არ არის საკმარისი სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად. ფერმერების დაბალი და არასტაბილური შემოსავლები, კერძო ფინანსური ინსტიტუტების შედარებით მაღალ საპროცენტო განაკვეთებთან ერთად, მთავარი ბარიერია ფერმერების კრედიტებზე წვდომისათვის. მეტიც, ბანკები უზრუნველყოფის სახით არ იღებენ ჩაის პლანტაციებსა და გადამამუშავებელ ტექნიკას, მცირე ფერმერების აბსოლუტურ უმრავლესობას კი არ სურს, კრედიტის მისაღებად რისკის ქვეშ დააყენოს კერძო საკუთრება.

აღნიშნული ფინანსური შეზღუდვებისა და გაველურებული პლანტაციების რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსების სიმწირის გამო, მოსავლის აღებისთვის ვარგისი ჩაის პლანტაციების რაოდენობა მცირდება. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენლის, თენგიზ

სვანიძის შეფასებით, 2013 წელს დაახლოებით 20,000 ჰა მიწა ჯერ კიდევ ვარგისი იყო ჩაის მოსავლის ასაღებად; 2015 წლის მაისში ეს რაოდენობა 10,700 ჰა-მდე შემცირდა. დასავლეთ საქართველოში თხილის ბუმმა, კივისა და მოცვის მსგავსი სხვა კულტურების მზარდ პოპულარობასთან ერთად, ხელი შეუწყო ჩაის პლანტაციების ხსენებული კულტურებით მასობრივ ჩანაცვლებას.

ფერმერებთან პირისპირი ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ 1 ჰა ჩაის პლანტაციის გაკეთებისთვის საჭიროა დაახლოებით 30,000 ლარის ინვესტიცია და რამდენიმე წელიწადი. თუ გავიხსენებთ, რომ 1980-იან წლებში ჩაის პლანტაციები 67,000 ჰა-ზე იყო გაშენებული, მაშინ ქვეყნის დანაკარგის სიდიდის უგულებელყოფა შეუძლებელია.



ფოტო: ჩაის ასაწონი პუნქტი 1915 წლამდე (საქართველო, ბათუმი). წყარო: ვიკიმედია

ჩანართი 1: ჩაის სექტორი საბჭოთა საქართველოში

მეჩაიეობა



საბჭოთა საქართველოს შავიზღვისპირა ბოლი თავისი კლიმატური და სხვა პირობებით შესანიშნავი გარემოა ციტრუსის, ყურძნის, თამბაქოსა და ეთერზეთოვანი კულტურებისთვის. მთის ფერდებსა თუ მინდვრებს გასდევს ბურმუხტისფერი ჩაის ბუჩქები.

ჩვენმა სელექციონერებმა, რომლებმაც წარმატებით გამოიყვანეს ყინვა-მედეგი და გვალვაგამძლე ჩაის ჯიშები, გულმოდგინე შრომის წყალობით, შეძლეს ჩაის პლანტაციების გაშენება რესპუბლიკის კიდევ უფრო ჩრდილოეთით. გვიან შემოდგომაზე ან ზამთრის დამდეგს ჩაის ბუჩქები პატარა, უცვეთელას მსგავსი მოვარდისფრო-თეთრი ყვავილებით იფარება, რომლებიც ირგვლივ თაფლის სურნელს აფრქვევს.

ჩაი ადამიანისგან ღრმა სპეციალურ ცოდნას, დიდ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს. მისი ბუჩქების გარშემო გამუდმებით დაფუსფუსებენ: მრგვლად სხლავენ, რამდენჯერმე თოხნიან, შეაქვთ სასუქები,

მარგლავენ, ქარდამცავ ზოლებს აშენებენ პლანტაციების ირგვლივ, სადრენაუო არხებით აშრობენ მიწას, ტენის შესანარჩუნებლად კი მწკრივთაშორისებს ტორფით ფარავენ და ა.შ. ძირითადი სამუშაო, რომელიც მთელი შრომითი დანახარჯების 70 პროცენტს შეადგენს მეჩაიეობაში, ფოთლის კრეფაა.

ქალები ოსტატურად კრეფენ ძვირფას მოვერცხლისფრო-მწვანე დუყებს. ბუჩქებზე დახრილი მეჩაიე ყოველ წუთს უფრთხილდება, რადგან დღევანდელი კარგი ფოთოლი ხვალ გადაუხეშდება და წახდება. იმისათვის, რომ ერთი კილოგრამი მწვანე ჩაი მოკრიფოს, მკრეფავმა ორი-სამი ათასი დუყი უნდა მოწყვიტოს. ჩაის ბუჩქს ვერც კომბაინით გადაცვლა, ვერც მაკრატლით გაკრეჭავ, გადასამუშავებლად ხომ მხოლოდ დუყი გამოდგება, რომელიც ფოთლებშია მიმაღული. ეს სიძნელეც დავძლიეთ – რესპუბლიკაში შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა – „საქართველო“ და „ჩა-900/650“, რომლებიც რესპუბლიკის დაბლობის პლანტაციებში მუშაობენ. შეიძლება ეს მანქანები იდეალური არ იყოს, მაგრამ მათი გაუმჯობესება გრძელდება. ჩვენს მეჩაიეობაში პრინციპულად ახალი სიტყვა გახდა ბუჩქების სასხლავე და მოსავლის საკრეფი ხელის მოტორიზებული აპარატების შექმნა და დანერგვა. ამ აპარატებს სულ უფრო ფართოდ იყენებენ იმ ნაკვეთებში, სადაც მანქანები „საქართველო“ და „ჩა-900/650“ ვერ მუშაობენ.

მოკრეფილი ფოთოლი რთულ გადამუშავებას საჭიროებს, რათა დასაყენებლად ვარგისი ჩაი მივიღოთ.

ჩვენი ჩაის ფაბრიკები უშვებენ შავ ბაიხაო ჩაის, მწვანე ბაიხაო ჩაის, მწვანე აგურა ჩაის, შავ და მწვანე ფილა ჩაის.

ჩაის ფაბრიკებიდან მზა ჩაი დასაფასოვებლად მიდის ჩაის საწონ ფაბრიკებში. აქ ჩაის აკუპაშებენ და ფუთავენ.

ქართული ჩაი დიდად მოსწონთ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მომხმარებლებს. განსაკუთრებით კარგი ხარისხით გამოირჩევა „საქართველოს თაიგული“, „ექსტრა“, აგრეთვე სხვა უმაღლესი ხარისხის ქართული ჩაი. მათთვის დამახასიათებელია საამო სურნელება, სასიამოვნო გემო და გამჭვირვალე ნაყენი.

წყარო: ვ. ჭიაურელი (1988 წ.). ქართული მიწის ბარაქა. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

3. შესწავლის სფერო

კვლევის მთავარი მიზანია იმ მიდგომების გამოვლენა, რომელთა მეშვეობითაც ქართული ჩაის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება გახდება შესაძლებელი. ჩვენ გავანალიზებთ და აღვწერთ ჩაის სექტორის ღირებულებათა მთლიან ჯაჭვს საქართველოში. ამ მიზნით, ჩვენ შემოგთავაზებთ სხვადასხვა მიდგომას, რომლებიც მიზნად ისახავს სექტორის საერთო პროდუქტიულობის ამაღლებას.

კერძოდ, ეს კვლევა გთავაზობს:

- საქართველოში არსებული ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ფორმების ანალიზს, წარმოებისა და დამატებითი ღირებულების დანახარჯების გამოთვლებს ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპზე – ინდივიდუალური ფერმერებიდან დაწყებული საბოლოო ბაზრებამდე;
- ქართული ჩაის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს;
- ფერმერთა მარჯის ზრდასთან მიმართებაში, ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტიანობის გაუმჯობესების ვარიანტებს; შესაბამისი ხარჯებისა და იმ ნაწილების მიმოხილვას, სადაც ღირებულება იქმნება სექტორში;
- ჩაის მიწოდება-მოთხოვნის დინამიკის ანალიზს, ბაზრების მოცულობის, საბაზრო წილისა და ტენდენციების ჩათვლით;
- არსებული ჩაის ქარხნების გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის მოკლე მიმოხილვასა და შეფასებას, გაუმჯობესების გზების გამოვლენას;
- სხვა დაინტერესებული მხარეების (მთავრობის, კერძო სექტორის და ა.შ.) ჩაის სექტორის განვითარებაში ჩართვის გზების მიმოხილვას;
- ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების მონაწილეების ურთიერთობების შეფასებას, მათ შორის სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების (მაგ.: ნედლეულის მიმწოდებლების, მწარმოებლების, გადამამუშავებელი ქარხნების, ბროკერების, დონორი ორგანიზაციების, მთავრობისა და ა.შ.) დინამიკას.
- ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების იმ ორგანიზაციული ფორმების (მაგ.:

კოოპერატივების) იდენტიფიცირებას, რომლებშიც წვრილ მესაკუთრებს შეიძლება ჰქონდეთ გადამწყვეტი როლი და დამატებული ღირებულების მაღალი წილი; კოოპერატივის ფუნქციონირების შესწავლას;

- სტრატეგიებს ფერმერთა ჯგუფების, მათ შორის კოოპერატივების, მოზიდვისთვის, რათა გაიზარდოს ინვესტიციები ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის საწარმოებში.

3.1 მეთოდები და მიდგომები

მოცემული ანგარიში ეფუძნება როგორც საოფისე, ისე სავლე კვლევას. გარდა ამისა, 2015 წლის ივლისში, ქუთაისში ჩვენ ჩავატარეთ პირველი ფორუმი ჩაის სექტორში ჩართული პირებისთვის. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, დონორი ორგანიზაციების, კერძო საწარმოების, ჩაის კოოპერატივებისა და ჩაის ასოციაციების წარმომადგენლები. ფორუმის ფარგლებში გამართულმა დიალოგმა ხელი შეუწყო ამ კვლევის განვითარებას.

თანამედროვე ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი განვითარდა სამი ძირითადი თეორიიდან. ესენია: გლობალური სასაქონლო ჯაჭვის მიდგომა, ფილიერის მიდგომა და მაიკლ პორტერის ღირებულებათა ჯაჭვი (კაპლინსკი და მორისი, 2001 წ.). პორტერის ღირებულებათა ჯაჭვი ეხება შიდა-რგოლურ საქმიანობებს (სხვადასხვა საქმიანობები ჯაჭვის თითოეული რგოლის დონეზე). დღეს, როგორც წესი, ტერმინი „ღირებულებათა ჯაჭვი“ პირდაპირ გულისხმობს პორტერის ღირებულებათა სისტემას, რომელიც ასევე გამოყენებულია ამ კვლევაში. ჯაჭვი გადატანითი მნიშვნელობით გულისხმობს საქმიანობების თანმიმდევრობას, რომელთა განმავლობაშიც იწარმოება უმეტესი საქონელი და მომსახურება (ჰამფრი, 2005 წ.).

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი აერთიანებს სხვადასხვა ამოცანებს, რადგანაც ის ინსტრუმენტი ან კონცეფცია უფროა, ვიდრე მეთოდოლოგია. ღირებულებათა ჯაჭვის სიღრმისეული ანალიზი, როგორც წესი, აერთიანებს სხვადასხვა მეთოდებს, რასაც მეთოდების ტრიანგულაციასთან მივყავართ. ეს მიდგომა განსაკუთრებით ხელსაყრელია სექტორებსა და გარემოს საკითხებზე მუშაობისას, სადაც სანდო მონაცემების მოპოვება რთულია.

კვლევაში სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის სტრუქტურა და კონკურენტუნარიანობა გაანალიზებულია ვიზუალურად (ნაკადებისა და ქსელურ რუკებზე დაყრდნობით) და ალწერთი ტექნიკის დახმარებით, როგორცაა SWOT-ანალიზი, კონტექსტის ანალიზი და ღირებულების წილის შეფასება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე. მონაცემთა წყაროები მოიცავს ლიტერატურის შესწავლას, სტატისტიკურ დოკუმენტებს, პირდაპირ დაკვირვებებსა და ინტერვიუებს.

3.1.1 საოფისე კვლევა

საოფისე კვლევა აერთიანებს სტატისტიკურ მონაცემებსა და ინფორმაციას ისეთი წყაროებიდან, როგორცაა საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, საბჭოთა ეპოქის წიგნები და კვლევები ქართული ჩაის სექტორის შესახებ, FAO-ის სტატისტიკა და ITC-ის მონაცემები, მთავრობის სტრატეგიის დოკუმენტები და საქართველოს ჩაის ასოციაციების ინფორმაცია. ზოგიერთი ადგილობრივი ჩაის სექტორის დაინტერესებული მხარე ძალიან დაგვეხმარა ქართული ჩაის სექტორისა და დროთა განმავლობაში მისი განვითარების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის შეგროვებაში.

3.1.2 სავალე კვლევა

2015 წლის ივნის-აგვისტოში სავალე კვლევა ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ჩაის მწარმოებელ ოთხ ძირითად რეგიონში, კერძოდ: აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში. ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა მეჩაიეებთან, მეჩაიეობის კოოპერატივების წევრებსა და დირექტორებთან, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციების წარმომადგენლებთან, ჩაის ექსპერტებთან, ქარხნების მეპატრონეებსა და მუშებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ჩვენ ასევე ვეწვიეთ ჩაის ძირითად სავაჭრო ადგილებს თბილისში.

შეგროვილი და გაანალიზებული ინტერვიუების მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ ჩავატარეთ რიგი კვლევითი აქტივობები, კერძოდ:

- მეორად მონაცემებსა და ჩართულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებულ შეფასებებზე (პირველად მონაცემებზე) დაყრდნობით, გავანალიზეთ ამჟამად ქართული ჩაის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და

საფრთხეები;

- ლიტერატურასა თუ მეორად და პირველად მონაცემებზე დაყრდნობით, ავსახეთ მთლიანი ჩაის ღირებულებათა ჯაჭვი (ნაკადებისა და ქსელური რუკების მეშვეობით);
- განვსაზღვრეთ რეგიონის ძირითადი მეჩაიეობის ფერმები/ქარხნები;
- რუკაზე ავსახეთ ჩაის მწარმოებელი რეგიონების ადგილმდებარეობა;
- ალწერეთ ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეებს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთობები;
- შევაფასეთ დამატებული ღირებულება ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლზე;
- ექსპერტების ინტერვიუებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩავატარეთ ჩაის ბაზრის ანალიზი;
- შედეგებზე დაყრდნობით, ჩამოვყალიბეთ განსაზღვრული რეკომენდაციები საქართველოში ჩაის სექტორის განვითარებისთვის.

3.2 შიზღუდვები

აღსანიშნავია, რომ ხშირად საქართველოში ჩაის პლანტაციებსა და ჩაის წარმოებაზე არსებული სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ ცუდი ხარისხისაა. მართალია, ჩვენი სავალე კვლევა დაგვეხმარა ჩაის კულტივირებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული რიგი საკითხების განმარტებაში, მაგრამ მწარმოებლების, გადამამუშავებლებისა და ჩაით მოვაჭრეების/ბროკერების ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ მტკიცებულებების ბაზა ჯერ კიდევ შეზღუდულია. ამისი მიზეზი ისაა, რომ ზოგიერთი მოთამაშე (განსაკუთრებით პირველადი მწარმოებლები) არ აწარმოებენ საბუღალტრო ჩანაწერებს ან/და არ სურთ ამ ინფორმაციის გაცემა.

მიუხედავად ამისა, ეს კვლევა დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიაში ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის გაანალიზების პირველი მცდელობაა. ვიმედოვნებთ, იგი ხელს შეუწყობს ქართული ჩაის სექტორის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გაცნობიერებას.

4. კვლევის არე

4.1 საქართველოში ჩაის მწარმოებელი რეგიონების მოკლე აღწერა

გრაფიკი 1: ჩაის მწარმოებელი რეგიონები საქართველოში



ჩაი საქართველოს 5 რეგიონში იწარმოება. დეტალურ ინფორმაციას ამ რეგიონებში ესენია: აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ჩაის იმერეთი და აჭარა¹. ცხრილი 1 გვთავაზობს პლანტაციების შესახებ.

ცხრილი 1: ფაქტები და რიცხვები ჩაის პლანტაციების შესახებ ჩაის მწარმოებელ რეგიონებში*

რეგიონი	სასოფლო-სამეურნეო მიწა (ჰა) **	ჩაის პლანტაციები (ჰა)*	აგრძო საკუთრებაში (%)	სახელმწიფო საკუთრებაში (%)	ჩაის პროდუქციული პლანტაციები (ჰა)	აგრძო საკუთრების წილი პროდუქციულ პლანტაციებში (%)	სახელმწიფო საკუთრების წილი პროდუქციულ პლანტაციებში (%)	გაგეღურებული ჩაის პლანტაციები (ჰა)	გაგეღურებული ჩაის პლანტაციები (ჰა)	
									წარმოებაში დასაბრუნებლად ვარგისი (ჰა)	წარმოებაში დასაბრუნებლად უვარგისი (ჰა)
შაი (4 რეგიონი)	566,679	10,760	47%	53%	1,696	84%	16%	9,020	5,972	3,048
გურია	50,015	3,839	69%	31%	789	83%	17%	3,050	2,202	848
სამეგრელო	253,694	3,837	36%	64%	474	79%	21%	3,363	2,553	810
იმერეთი	192,480	2,155	26%	74%	38	100%	0%	2,085	978	1,107
აჭარა	64,491	929	53%	47%	396	90%	10%	522	239	283

* წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 25 ივლისი, 2015 წ.

** წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2013 წ.

¹ აფხაზეთის ჩაის სექტორის შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

ამ მონაცემების მიხედვით, პლანტაციების უმეტესი ნაწილი გურიასა (36%) და სამეგრელოში (36%) მდებარეობს. გურია არის წამყვანი რეგიონი პროდუქტიული პლანტაციების მოცულობით (საქართველოს მთლიანი პროდუქტიული პლანტაციების 46%).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარას ჩაის პლანტაციების ყველაზე მცირე ფართობი ეკუთვნის (929 ჰა), მისი პლანტაციების ბევრად

მეტი ნაწილია (43%) პროდუქტიული გურიასთან (20%), სამეგრელოსა (12%) და იმერეთთან (2%) შედარებით.

ყველაზე მეტი გაველურებული პლანტაცია გვხვდება სამეგრელოში (2,553 ჰა, საქართველოს გაველურებული პლანტაციების 43%), მას მოსდევს გურია (37%), იმერეთი (16%) და აჭარა (4%).



ფოტო: ჩაის პლანტაციები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. 2015 წ.


5. ქართული ჩაის საქტორის ანალიზი

5.1 ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში

ამ ქვეთავის დასაწყისში გრაფიკულად წარმოგიდგენთ საქართველოში ჩაის მწარმოებელ ოთხ მთავარ რეგიონში ჩაის ფოთლის წარმოებას 2006-2014 წლებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ყველაზე

პროდუქტიული პლანტაციები არის გურიაში (789 ჰა), სამეგრელოში (474 ჰა), აჭარასა (396 ჰა) და იმერეთში (38 ჰა). 2006-2014 წლებში ჩაის წარმოება სამჯერ შემცირდა (იხ. გრაფიკი 2). ძირითადი გამომწვევი მიზეზი ამ პერიოდში ჩაის პლანტაციების ფართომასშტაბიანი განადგურება უნდა ყოფილიყო.

გრაფიკი 2: ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში (მთლიანად და რეგიონების მიხედვით)




წყარო: საქსტატი

5.2 ჩაის ექსპორტი და იმპორტი

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო ცნობილი იყო თავისი ჩაით და წარმოადგენდა ძირითად ჩაის ექსპორტიორ ქვეყანას საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამასთან, 2005 წლამდე ინარჩუნებდა წმინდა ექსპორტის დადებით სალდოს. გრაფიკი 3-დან ვხედავთ, რომ 2006 წლიდან დაწყებული

ტენდენცია შეიცვალა და პირველად გასული 150 წლის განმავლობაში საქართველო ჩაის წმინდა იმპორტიორი გახდა. დანართში მოცემული გრაფიკი A1 ასევე ცხადყოფს იმავე პერიოდისთვის ექსპორტ-იმპორტის თანათარდობის მკვეთრად შემცირების ფაქტს.

გრაფიკი 3: ჩაის ექსპორტი-იმპორტი 2000-2014 წლებში (ღირებულების მიხედვით)




წყარო: საქსტატი

გრაფიკი 3-დან ვხედავთ, რომ 2009-2014 წლებში ჩაის იმპორტის ღირებულება თითქმის ორჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდში ჩაის ექსპორტის ღირებულება მეტ-ნაკლებად სტაბილური რჩებოდა.

ასევე, დანართში მოცემული გრაფიკი A2 აჩვენებს, რომ 2012 წელს ჩაის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ჩაიზე შიდა მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს. თუმცა საქართველოს წარმოების პოტენციალისა და მზარდი მოთხოვნის მიუხედავად, ქვეყნის შიგნით ჩაის წარმოება პროპორციულად არ გაზრდილა.


ჩვენ დეტალურად ჩავშალეთ ჩაის ექსპორტისა და იმპორტის მონაცემები ქვეყნების მიხედვით. გრაფიკები 4 და 5 ასახავს ჩაის ექსპორტის ღირებულებასა და მოცულობას ქართული ჩაის მოწინავე საექსპორტო ქვეყნებში. როგორც ვხედავთ, ქართველი ჩაის ექსპორტიორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ დაბალი ხარისხის ჩაის გაყიდვაზე (იხ. გრაფიკი 6) ცენტრალური აზიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. ქართული ჩაის ექსპორტიორებისთვის რთული აღმოჩნდა ისეთ წამყვან ჩაის იმპორტიორ ქვეყნებში შესვლა, როგორცაა რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და ახლო აღმოსავლეთი.

გრაფიკი 4: ქართული ჩაის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები 2014 წელს (ღირებულების მიხედვით)



წყარო: საქსტატი


გრაფიკი 5: ქართული ჩაის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები 2014 წელს (მოცულობის მიხედვით)



წყარო: საქსტატი

ვითარება არსებითად უცვლელია, თუ 2009-2013 წლების ექსპორტის საშუალო ღირებულებასა და მოცულობას ვიზუალურად გამოვსახავთ (იხ. დანართი: გრაფიკები A3-A4)

გრაფიკი 6: ექსპორტზე გატანილი 1 კგ. ჩაის ფასები (აშშ დოლარში) ძირითად საექსპორტო ქვეყნებში 2014 წელს (ღირებულების მიხედვით)



წყარო: საქსტატი


როგორც ზემოთ განვიხილეთ, ჩაის ექსპორტიორების უმეტესობა ორიენტირებულია იაფფასიან ბაზრებზე. მართლაც, გრაფიკი 6-ის მიხედვით, ექსპორტირებული ჩაის დაბალ ფასად იყიდება². გამონაკლისია აშშ, სადაც 2014 წელს ექსპორტზე გავიდა მაღალი ღირებულების ჩაის. თუმცა აშშ-ში ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში უმნიშვნელო იყო.

საქართველოს ექსპორტზე ძირითადად ორი კატეგორიის ჩაის გააქვს: მწვანე და შავი.

გრაფიკი 7 გვიჩვენებს 2014 წელს მწვანე და შავი ჩაის ექსპორტს ღირებულების მიხედვით. მართალია შავი ჩაის უფრო მეტი ღირებულების გაედინება, მაგრამ მოცულობის მიხედვის სურათი პირიქითაა - 2014 წელს მთლიანი ექსპორტის მოცულობის 65% მწვანე ჩაის გავიდა. ჩაის ექსპორტის ევოლუცია კატეგორიების მიხედვით 2009-2014 წლებში ასახულია დანართში მოცემულ გრაფიკ A5-ზე. როგორც ვხედავთ, შავი ჩაის ექსპორტი სტაბილურია, მაშინ, როდესაც მწვანე ჩაის ექსპორტი ბოლო ორი წელია გვიჩვენებს დაღმავალ ტრენდს.

² აქ ჩვენ განვიხილავთ ექსპორტირებული ჩაის საშუალო ფასებს. ფასები გამოთვლილია ექსპორტის ღირებულების გაყოფით შესაბამის ექსპორტის მოცულობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზით მიღებული შედეგები ბუნდოვანს ხდის ჩაის ფასების არაერთგვაროვნებას ქვეყნებისა და პროდუქციის მოცულობების მიხედვით, ეს მონაცემები ერთადერთია რაც შეიძლება წარმოგადგინოთ.

გრაფიკი 7: ქართული ჩაის ექსპორტის ღირებულება 2014 წელს, კატეგორიების მიხედვით (ათას აშშ დოლარში)




წყარო: საქსტატი

შემდეგ ჩვენ წარმოვადგენთ ჩაის იმპორტის ქვეყნების მიხედვით. გრაფიკები 8 და 9 გვიჩვენებს ჩაის იმპორტის ღირებულებასა და მოცულობას 2014 წელს ძირითადი ჩაის იმპორტიორი ქვეყნებისთვის. გაჭრობის


ღირებულების მიხედვით, 2014 წელს საქართველოში ჩაის მთავარი იმპორტიორები იყვნენ აზერბაიჯანი, შრი-ლანკა, არაბთა გაერთიანებული საემიროები და რუსეთის ფედერაცია.

გრაფიკი 8: საქართველოში ჩაის იმპორტიორი 10 ძირითადი ქვეყანა 2014 წელს (ღირებულების მიხედვით)



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 9: საქართველოში ჩაის იმპორტიორი 10 ძირითადი ქვეყანა 2014 წელს (მოცულობის მიხედვით)




წყარო: საქსტატი

2014 წლის მონაცემებით, თურქეთი და ირანი ვაჭრობის მოცულობის მიხედვით იმპორტიორი ქვეყნების სიის სათავეში არიან. დანართში წარმოდგენილი გრაფიკებზე A6 და A7 ნაჩვენებია, რომ 2009-2013 წლებში მდგომარეობა ანალოგიური იყო. ერთადერთი განსხვავება ამ პერიოდსა და 2014 წელს შორის

ისაა, რომ საშუალოდ, მოცულობის მიხედვით, 2009-2013 წლებში ჩაის იმპორტის უმეტესი ნაწილი მოდიოდა აზერბაიჯანზე, რომელსაც მოსდევდა თურქეთი და ირანი. თუმცა, ფასებში გამოსახვის შემთხვევაში, თურქეთსა და ირანიდან შემოდის ყველაზე დაბალი ხარისხის ჩაი (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10: იმპორტირებული ჩაის ფასების ევოლუცია 10 მონინავე ჩაის იმპორტიორი ქვეყნების ვაჭრობის ღირებულების მიხედვით 2009-2014 წლებში



წყარო: საქსტატი


ზოგადად, გრაფიკი 10-დან გამომდინარე, იმპორტირებული ჩაი გაცილებით ძვირია³, ვიდრე ქვეყნის შიგნით წარმოებული ჩაი, რომელიც საზღვარგარეთ ექსპორტზე გადის. იმპორტირებული ჩაის მაღალი ფასების გათვალისწინებით, ქვეყნის შიგნით წარმოებული ჩაი, რომელიც უფრო მაღალი ხარისხისაა, შეიძლება კონკურენტუნარიანი

იყოს ადგილობრივ ბაზარზე.

გრაფიკ 11-ში დეტალურად არის ჩაშლილი 2014 წლის ჩაის იმპორტი კატეგორიების მიხედვით. როგორც ჩანს, ქართველი მომხმარებლები მწვანე ჩაისთან შედარებით შავ ჩაის ანიჭებენ უპირატესობას. 2009-2014 წლებში ვითარება იგივეა (იხ. დანართი: გრაფიკი A8).

³ იმპორტის ფასები, ექსპორტის ფასების მსგავსად, გამოთვლილია იმპორტის ღირებულების შესაბამის იმპორტის მოცულობასთან შეფარდებით.

გრაფიკი 11: საქართველოში იმპორტირებული ჩაის ღირებულება 2014 წელს, კატეგორიების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

6. კვლევის შედეგები

6.1 საქართველოს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები

გრაფიკი 12: საქართველოს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი მონაწილეები



*შედგენილია საქსტატის 2004 წლის სოფლის მეურნეობის აღწერის მიხედვით. 2014 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნდება 2016 წელს.

როგორც ზემოთ მოცემულ სქემაზე ვხედავთ, საწარმოო შესაძლებლობების მიხედვით, ღირებულებათა ჯაჭვის პირამიდა შეიძლება აერთიანებდეს ცალკეულ ფერმერებს, მეჩაიეობის კოოპერატივებს, მცირე, საშუალო და მსხვილ გადამამუშავებელ ქარხნებს.




ფოტო: ჩაის როლერები მსხვილ გადამამუშავებელ ქარხანაში, 2015 წ.

7. სქემატურად წარმოდგენილი ჩაის ღირებულებათა ჯაჭვი

7.1 ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ქსელური რუკა

გრაფიკი 13: ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის ქსელური რუკა



წყარო: ქსელური რუკა გაკეთდა ი. კოჭლამაზაშვილისა და სხვათა ქართული ცხვრის ღირებულებათა ჯაჭვისა (2014 წ.) და ლ. სორგის ქართული თხილის ღირებულებათა ჯაჭვის (2012 წ.) კვლევების საფუძველზე.

7.2 ძირითადი ეტაპების აღწერა

ქართული ჩაის ღირებულებათა ჯაჭვი ხუთი ეტაპისგან შედგება. უნდა აღინიშნოს, რომ ეტაპების რაოდენობა ყოველთვის ბუსტად ერთნაირი არაა და ზოგიერთი საქმიანობა შეიძლება ვერტიკალურად ინტეგრირებული იყოს (მაგ.: წარმოება და შეგროვება/ტრანსპორტირება/გადამუშავება). მიუხედავად ამისა, ეს ხუთი ეტაპი შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ:

1. წარმოება
2. შეგროვება/ტრანსპორტირება/გადამუშავება
3. შეფუთვა/დახარისხება/ ბრენდირება
4. მარკეტინგი/ექსპორტი
5. მოხმარება

7.2.1 ეტაპი 1: ჩაის წარმოება

ჩაის ფოთოლი იკრიფება პლანტაციებში გაშენებულ ჩაის ბუჩქებზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ჩაის პლანტაციების 60%-ს ფლობს და ამუშავებს შინამეურნეობები (2014 წ.). უახლესი მონაცემები ჩაის მფლობელი შინამეურნეობების რაოდენობასა და მათ მფლობელობაში არსებული ჩაის პლანტაციების სიდიდებზე არაა ხელმისაწვდომი. ეს მონაცემები, სავარაუდოდ, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი. თუმცა საქსტატის წინა, 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, დაახლოებით 16 ათასი ოჯახი ფლობს ჩაის პლანტაციებს. 100-დან 99%-ის შემთხვევაში, ამ პლანტაციების ფართობი 1 ჰა-ს არ აღემატება. ჩაის წარმოების მსგავსი მოდელი გვხვდება ჩინეთში, რომელიც გულისხმობს ტრადიციული ტიპის (მცირე ფერმერები, შინამეურნეობები) კოოპერატივებსა და მრეწველობებს (ჩაის კომპანიები) (ფენგი და სხვები, 2014 წ.).

საქართველოში პლანტაციების უმეტესობა არ არის შემოღობილი (შესაბამისად, არსებობს რისკი, პირუტყვმა გაანადგუროს ჩაის ბუჩქი) და ხშირ შემთხვევაში გაველურებულია. შედეგად, ვიღებთ დაბალ პროდუქტიულობას. ბუჩქების მოვლა-დაამუშავება, გასხვლა (გადაჭრა) და მოსავლის აღება უმეტესად ხელით ხდება. მართალია, ზოგიერთ დიდ ფერმას კიდევ შემორჩა მოძველებული საბჭოური ტექნიკა, მაგრამ მანქანით მოკრეფილი მოსავალი

ძალიან დაბალი ხარისხისაა. ხარისხის თვალსაზრისით, ამგვარად მოკრეფილ ჩაიში არის 6 ან მეტი ფოთოლი და 1 კვირტი, იგივე დუცი (6L&B), რომელიც მხოლოდ დაბალი ხარისხის ჩაის წარმოებაში შეიძლება გამოვიყენოთ. თანამედროვე საწარმოო სტანდარტი ხარისხიანი ჩაის (ე.წ. orange pekoe (OP) შემთხვევაში არის 1 ან 2 ფოთოლი და 1 კვირტი (1L&B და 2L&B), მასობრივი მოხმარების ჩაის შემთხვევაში კი (ე.წ. BOP (broken orange pekoe), 3 ან მეტი ფოთოლი და 1 კვირტი (3L&B). 1 კგ. გადამუშავებული ჩაისთვის (ე.წ. დასაყენებელი ჩაისთვის) საჭიროა 4-4.5 კგ. ნედლი ჩაის ფოთოლი (ჩაის კონვერსიის კოეფიციენტი 4-4.5 კგ-ს ფარგლებში მერყეობს (მწვანე ფოთლიდან საბოლოო პროდუქტამდე).



ფოტო: კამელია სინენსისის 2 ფოთოლი და 1 კვირტი (2L&B). წყარო: ვიკიპედია

7.2.2 ეტაპი 2 : შეგროვება/ტრანსპორტირება/გადამუშავება

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩაის პლანტაციების მფლობელ შინამეურნეობებს 1 ჰა-ზე ნაკლები მიწა აქვთ, ჩაის ფოთლის საკუთარი ძალებით დაამუშავებას აზრი არ აქვს. ამ როლს ითავსებენ ჩაის გადამამუშავებელი ქარხნები (იქნება ეს მცირე, საშუალო თუ მსხვილი), რომლებიც მენაიებისგან აგროვებენ ნედლ ჩაის ფოთოლს. ჩაბარებისა და ტრანსპორტირების პროცესის სატვირთოების დახმარებით ხდება. ზოგ შემთხვევაში ამ მიზნით ძველი საბჭოთა სატვირთოები გამოიყენება.

7.2.2.1 ჩაის გადამამუშავების მეთოდები

ჩაის ფოთლის გადამამუშავების პროცესი ძველი, საბჭოთა დროინდელი მანქანებით მიმდინარეობს, რომლებიც მცირედით თუ შეიძლება განახლდა ადგილობრივად. ეს მანქანები შეიქმნა დიდი მოცულობით ჩაის

საწარმოებლად და არა ჩაის გადამუშავების პროცესში მისი ხარისხის შენარჩუნებისათვის გაუმჯობესებისთვის. თანამედროვე სტანდარტებით, გადამუშავების, შეფუთვისა და შენახვისთვის გაცილებით მაღალი ხარისხის ტექნიკა და გარემონტებული შენობებია საჭირო. ჩაის გადამუშავების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს. ერთია სტანდარტული მეთოდი (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ), მეორე ე.წ. CTC-ის⁴ მეთოდი (დაქუცმაცება-დახლეჩა-გრეხა). რადგანაც საქართველოში მხოლოდ პირველი მეთოდი გამოიყენება, ჩვენი მსჯელობის საგანიც სწორედ ეს მეთოდი იქნება.

7.2.2.1.1 შავი ჩაის გადამუშავება

ბევრი ადამიანი შეცდომით ფიქრობს, რომ შავი და მწვანე ჩაი ორი სხვადასხვა ჩაის ბუჩქისგან იწარმოება. სინამდვილეში, ყველა სახის ჩაი ერთი და იმავე ჩაის ბუჩქისგან (კამელია სინენსისგან) მიიღება. რაც მათ განსხვავებულ მახასიათებლებს სძენს, არის ჩაის ფოთლის გადამუშავების გზები.

შავი ჩაის გადამუშავება გულისხმობს შეგროვებას, ფოთლის ღნობას, გრეხვას, ფერმენტაციას და გამოშრობას. სეზონის განმავლობაში, როგორც წესი, ზედა ორი ფოთოლი კვირტთან ერთად იკრიფება ხელით. შემდეგ მოდის ღნობის ეტაპი, რომელიც გულისხმობს ფოთოლში ტენიანობის შემცირებას და მის ფერმენტულ დაჟანგვას. ამის შემდეგ ჩაის ფოთლებს გრეხენ, რის შედეგადაც ჩაის ფოთლის უჭრედებიდან გამოიყოფა ნატურალური სითხე. ეს პროცესი სპეციალური დანადგარებით ან ხელით სრულდება, თუმცა ორივე შემთხვევაში დიდ დროს მოითხოვს. ამ ეტაპის შემდეგ, შავი ჩაი კიდევ საჭიროებს დაჟანგვას, რომელიც ბნელ ოთახში, კონტროლირებად კლიმატურ პირობებში მიმდინარეობს. ფერმენტაციის პროცესში ჩაი ბევრნაირ გემოსა და არომატს იძენს. შავი ჩაის პირველადი წარმოების ბოლო ნაბიჯი ფოთლის გამოშრობაა. როგორც კი დაჟანგვის სასურველ დონეს მიაღწევს, ჩაი უნდა გათბეს, რომ თავიდან ავიცილოთ ხარისხის გაუარესება. ჩაის საბოლოო არომატის ჩამოყალიბება გამოშრობის ეტაპზე ხდება, რომელიც უნდა შესრულდეს ძალიან ფრთხილად და მოითხოვს ამ პროცესში კვალიფიციური მუშახელის მონაწილეობას.

7.2.2.1.2 მწვანე ჩაის გადამუშავება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწვანე და შავი ჩაი

ერთი და იმავე ბუჩქისგან იწარმოება. რაც მწვანე ჩაის განსხვავებულ გემოს ანიჭებს, არის გრეხვის ეტაპამდე ფოთლის ორთქლით დამუშავება, რათა ფერმენტების აქტივობა და ფერმენტული დაჟანგვა ბოლომდე ავიცილოთ თავიდან. წარმოების სხვა ეტაპები მსგავსია ორივე შემთხვევაში (მწვანე ჩაის ფერმენტაციის ეტაპი არ სჭირდება).

საქართველოს მწვანე ჩაის წარმოებაში აქვს უპირატესობა, რადგან ჩაის ბუჩქების დარღილვა არაა საჭირო, როგორც ეს აზიაში ხდება, სადაც ულტრაიისფერი რადიაციის დონე მაღალია.

7.2.3 ეტაპი 3: შეფუთვა/დახარისხება/ბრენდირება

შეფუთვა მცირე და საშუალო კომპანიებში ხელით ხდება. დიდ კომპანიებში არსებობს შეფუთვის ხაზები. საქართველოში იწარმოება ოთხი სახის ჩაი: (1) დასაყენებელი ჩაი ტომრებით (დაუფასოებელი) (2) დასაყენებელი ჩაი ყუთებში (დაუფასოებელი, ე.წ. დასაყენებელი ჩაი) (3) აგურა ჩაი და (4) ჩაის პაკეტები. საქართველოში მხოლოდ შავი და მწვანე კატეგორიის ჩაი იწარმოება. ერთი კომპანია წალენჯიხაში აწარმოებს ხსნადი ჩაის ექსტრაქტს/კონცენტრატს. ერთადერთი კომპანია, რომელიც აქტიურად იყენებს ბრენდინგს და შედარებით კარგად განსაზღვრული მარკეტინგული სტრატეგია აქვს, არის გურიელი. სხვა მცირე მასშტაბის გადამამუშავებლები ბრენდინგს აკეთებენ დახვეწილი შეფუთვისა და ჩაის ყუთების დიზაინის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ წვდომა რეკლამაზე საკმაოდ შეზღუდული აქვთ და ამიტომ ვერ აწვდიან მომხმარებელს ინფორმაციას საკუთარი ბრენდების შესახებ.



ფოტო: ხელით შეფუთული ჩაი. 2015 წ.

⁴ CTC-ის მეთოდით ჩაის გადამუშავება ძირითადად მოიცავს სამ ეტაპს: დაქუცმაცებას-დახლეჩა-გრეხას ან დამსხვრევა-დახლეჩა-გრეხას. სწორედ აქედან მოდის აკრონიმიც. CTC-ის ტიპის ჩაის ნაყენი სწრაფად მზადდება. ითვლება, რომ ტრადიციულ ჩაის უკეთესი ხარისხი აქვს, ვიდრე CTC-ის ჩაის და უფრო ძვირია. CTC-ის შედარებით უფრო მზარე გემო აქვს, ტრადიციულ ჩაის კი უკეთესი და უფრო დახვეწილი არომატების კომბინაცია აქვს.

7.2.4 ეტაპი 4: მარკეტინგი

ქართული ჩაი იყიდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ადგილობრივად წარმოებული ჩაის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გადის ექსპორტზე, ხშირ შემთხვევაში ეს დაბალი ხარისხის ჩაია (დასაყენებელი ჩაი ტომრებით ან აგურა ჩაი). მაგრამ ჩაის იმპორტი ექსპორტს მნიშვნელოვნად აჭარბებს. ეს ნიშნავს, რომ შიდა ბაზარზე იმპორტირებული ჩაი დომინირებს (უმეტესად ჩაის პაკეტები შემოდის) და ადგილობრივ მოთხოვნას ადგილობრივი მიწოდება ვერ აკმაყოფილებს. საქართველოს ჩაის ბაზარი ძალიან კონკურენტულია, სადაც წარმოდგენილია ისეთი ცნობილი საერთაშორისო ბრენდები, როგორცაა მარიამი (აზერბაიჯანი), აზერთი (აზერბაიჯანი), გრინფილდი (გაერთიანებული სამეფო), ლიპტონი (აშშ), აჰმადი (გაერთიანებული სამეფო) და სხვა. წარმოდგენილია ქართული ბრენდებიც: გურიელი, ანასეული, შემოქმედი, პეტრა, ლაზი, ტყიბულის ჩაი და სხვ. მათ შორის გურიელს (შპს. ჯეოპლანტი), რომელიც მთავარი ქართული მოთამაშეა შიდა ბაზარზე (თუმცა ძალიან მოკრძალებული წილი უჭირავს), ექსპორტზე გააქვს ჩაი ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში, ჩეხეთში, პოლონეთსა და რუსეთში.

საქართველოში არსებობს 6-7 მსხვილმასშტაბიანი ქარხანა, რომელიც საკუთარ პლანტაციებში კრეფს ჩაის, ამუშავებს და აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ჩაის. ამ ქარხნების უმეტესობა დაბალი ხარისხის ჩაის წარმოებაზე კონცენტრირდება, რაც მათი მთლიანი წარმოების 90-95% შეადგენს. ეს დაბალი ხარისხის ჩაი იყიდება საექსპორტო ბაზრებზე (მაგალითად, მონღოლეთსა და თურქმენეთში). დანარჩენი მაღალი და საშუალო ხარისხის ჩაი იყიდება ძვირადღირებულ შიდა და უცხოურ ბაზრებზე. არის სხვა კომპანიებიც, რომლებიც სპეციალიზირდებიან მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებაში. მაგალითად, კომპანია ანასეული აწარმოებს მცირე რაოდენობის მაღალი ხარისხის ორგანულ ჩაის. მეტიც, კომპანია ლაზი აწარმოებს ჩაის კონცენტრატებს, რომლებიც გამოიყენება მედიცინაში, სასმელების წარმოებაში და იყიდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. დაბალი ხარისხის ჩაი იკრიფება მანქანა-დანადგარებით ან ხელის მაკრატლით. საშუალოდ, 1 ჰექტარზე 5 ტ. ჩაის ფოთლის მოკრეფაა შესაძლებელი (უმეტესად 5-6 ფოთოლი და 1 კვირტი). 1 კგ. დაბალი ხარისხის ჩაის წარმოებას სჭირდება 3,5 კგ. ჩაის ფოთოლი. ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხის

ჩაის ღირებულებათა ჯაჭვი ვერტიკალურადაა ინტეგრირებული, წარმოების, გადამამუშავებისა და მარკეტინგულ საქმიანობაში ჩართულია ერთი და იგივე კომპანია.

კომპანია გურიელს აქვს ოდნავ განსხვავებული ღირებულებათა ჯაჭვის სქემა. კომპანია აწარმოებს ჩაის 50 და 100-გრამიან პაკეტებს (ან 25 და 50-ცალიან კოლოფს), რაც ყველაზე მოთხოვნადია ბაზარზე. კომპანია გურიელის წარმომადგენლების ცნობით, შავი ჩაის საწარმოებლად მათ ნედლეულის იმპორტი სჭირდებათ. შემდეგ იმპორტირებულ ჩაის ურევენ ადგილობრივ მოსავალს (ხდება კუპაჟირება), აფასობენ, უკეთებენ ბრენდირებას და ყიდნიან როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. შავი ჩაისგან განსხვავებით, გურიელი მწვანე ჩაის მთლიანად ადგილობრივად წარმოებული ჩაის ფოთლისგან ამზადებს. გურიელი შიდა ბაზარზე ბრენდირებული ჩაის 20%-იან წილს ფლობს.

7.2.5 ეტაპი 5: მოხმარება და ჩაის შიდა ბაზარი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ჩაის მოხმარებაზე ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ექსპერტებისა და ჩვენი შეფასებებით⁵, საქართველო ყოველწლიურად დაახლოებით 2 ათას ტ. ჩაის მოიხმარს. მოხმარებული ჩაის უმეტესობა ბრენდირებულია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოხმარებული ჩაის თითქმის 80% უცხოეთიდანაა იმპორტირებული.

შიდა ბაზრებზე ჩაის ფასებზე მონაცემები⁶ აქვს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. დანართში გრაფიკი A9 გვიჩვენებს ჩაის ფასების განვითარებას საქართველოს ბაზარზე 2006-2014 წლებში. ჩვენ ვხედავთ, რომ 1 კგ. ჩაის ფასი 30 ლარის ფარგლებში მერყეობს.

7.3 გარე გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში არსებულ კავშირებზე

ამ ნაწილში ჩვენ გამოვავლენთ გარე ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ან აქვთ გავლენის მოხდენის პოტენციალი ქართული ჩაის სექტორის განვითარებაზე.

7.3.1 საბარო უწყებები

საქართველოს მთავრობას აქამდე არ ჰქონდა ნათლად ჩამოყალიბებული ჩაის სექტორის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. მიწის გადასახადი (ჩაის პლანტაციების ჩათვლით) 2-3-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე

⁵ 2014 წელს ადგილობრივი ჩაის წარმოება 1800 ტ. იყო, (-) ექსპორტი 1900 ტ., ხოლო (+) იმპორტი 2200 ტ. თუ გამოვიტვივით ამ ფორმულით, ვნახავთ, რომ ჩაის შიდა მოხმარება 2100 ტ. იყო.

⁶ საქსტატი 1 კგ. ჩაიზე ფასს გამოითვლის სხვადასხვა ტიპის 50-გრამიანი ჩაის პაკეტების საშუალო ფასის გამრავლებით 20-ზე.

ათი წლის წინ იყო. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ჩაის პლანტაციებზე ქირაც ძალიან მაღალია, თუ გავითვალისწინებთ ამ პლანტაციების ხარისხს, რაც ხელს უშლის სექტორის განვითარებას. საბედნიეროდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აპირებს, 2016 წლის ბიუჯეტიდან 3,5 მილიონი ლარი გამოყოფს ჩაის სექტორის განვითარებისთვის (იხ. ქვემოთ). ამ კონტექსტში მთავრობამ უშაობს ჩაის სექტორის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაზეც.

7.3.2 განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები

საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით ზოგიერთმა დონორმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ უკვე დაიწყო ჩაის სექტორის ხელშეწყობა. წამყვანი პროექტია ENPARD საქართველო (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა), რომელიც უკვე ეხმარება მეჩაიეობის 3 კოოპერატივს და შესაძლებელია ეს რიცხვი გაიზარდოს. ENPARD-ის პროექტს ახორციელებს 4 კონსორციუმი. მათგან ქეას კონსორციუმი ეხმარება სამ კოოპერატივს.

ENPARD-ის პროექტამდე, 2011-2012 წლებში, ნორვეგიის განვითარების სააგენტომ სცადა მეჩაიეობის კოოპერატივების განვითარება გურიის რეგიონში. მათ გაამარტივეს კოოპერატივების დაარსების პროცესი და ჩაის მწარმოებელი/გადამამუშავებელი კოოპერატივებისთვის შეისყიდეს გაკრვეული ტექნიკა/აღჭურვილობა.

7.3.3 სექტორული ასოციაციები

სექტორში მოქმედებს ორი ასოციაცია: ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია და ჩაის გადამამუშავებელთა ასოციაცია. ამ ორგანიზაციების მიზანია ჩაის წარმოების, გადამამუშავებისა და მარკეტინგის ხელშეწყობა გრძელვადიან პერიოდში, საკუთარი პოზიციების დაცვა ადგილობრივ და სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე და ქართული ჩაის პოპულარიზება შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. ორივე ასოციაციას სჭირდება გაძლიერებაში ხელშეწყობა, რათა უკეთ მოახდინონ სექტორის ადვოკატირება და დაეხმარონ დაინტერესებულ მხარეებს სექტორის განვითარებაში.

7.3.4 ფინანსური ინსტიტუტები

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ბანკები კარგადაა განვითარებული, თუმცა აგრარულ სექსებზე

საპროცენტო განაკვეთები ძალიან მაღალია. გირაოსთვის განკუთვნილ აქტივებზე მოთხოვნილი ლიკვიდურობა იმდენად მაღალია, რომ ჩაის მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების უმეტესობისთვის ისინი ხელმისაწვდომი არ არის. მიუხედავად ამისა, გვაქვს შემთხვევები, როდესაც გადამამუშავებლები იღებენ შეღავათიან კრედიტებს, რომელთა საპროცენტო განაკვეთებიც სუბსიდირებულია მთავრობის მიერ.

7.3.5 კვლევითი ინსტიტუტები/ცოდნის ცენტრები

ანასეულში ჯერ კიდევ არსებობს ჩაის კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც მიმართავენ ჩაის სექტორით დაინტერესებული მხარეები. ეს ინსტიტუტი კარგი საწყისი წერტილია თანამედროვე კვლევის განვითარებისთვის, მაგრამ საჭიროა მისი განახლება და შესაძლებლობების განვითარება. მეტიც, ჩაის წარმოების/გადამამუშავების შესწავლისადმი ინტერესი ახალგაზრდა თაობაში ძალიან დაბალია. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს ჩაის კურსები („ტიტეისტერის“ კურსი). ზოგადად, კვლევითი და ცოდნის ცენტრები ძალიან სუსტია მსოფლიოში ჩაის მრეწველობის თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით.

7.3.6 საერთაშორისო სავაჭრო ბარიერო/ლოჯისტიკა

საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი. სარგებლობს გარკვეული სავაჭრო შეღავათებით ევროკავშირთან (DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან), დსთ-ის ქვეყნებსა და თურქეთთან. საქართველოს აქვს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) აშშ-თან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასთან, კანადასა და იაპონიასთან. სავარაუდოდ, მომავალ წელს დასრულდება მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია). წელს დაიწყო მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩინეთთან. მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, მწარმოებლები მაინც ღელავენ, რომ ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებმა შეიძლება გაზარდოს კონკურენცია.

საქართველოში საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურა საკმაოდ განვითარებულია, ამიტომ თეორიულად ქართული ჩაის ექსპორტისთვის ლოჯისტიკური ბარიერები

ცოტა უნდა იყოს.

7.3.7 სართიფიცირების სააგენტოები

არსებობს ერთი ადგილობრივი ორგანიზაცია (შპს კავკასსერტი), რომელიც გასცემს

ორგანული ჩაის სერთიფიკატს. ორგანიზაცია აღიარებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ. გარდა ამისა, ზოგიერთი საჯარო უწყება საკმაოდ დაბალ ფასად და მოკლე დროში გასცემს ექსპორტის სერთიფიკატს ექსპორტიორებისათვის.

7.4 ღირებულებათა ნაკადების სქემები

7.4.1 ქართული შავი ჩაის ნაკადების სქემა (საშუალო და მაღალი ხარისხის დასაყენებელი ჩაი)

გრაფიკი 14: ქართული შავი ჩაის ნაკადების სქემა



7.4.2 მოთამაშების დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე

7.4.2.1 ფერმერი:

ფერმერის მიერ მიღებული 1კგ. ჩაის ფოთლის ფასი 1.8-2.2 ლარის ფარგლებში მერყეობს. ფერმის დონეზე ბუღალტრული ანგარიშწარმოების დაბალი დონის გამო, კილოგრამი ჩაის საწარმოო ხარჯის შეფასება რთულია. თუმცა, ჩვენი გამოთვლებით, ხარჯი დაახლოებით გასაყიდი ფასის 50%-ს შეადგენს, რაც თითოეულ კილოგრამზე 0.9-1.1 ლარის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოში 1 ჰა კარგად მოვლილი ჩაის პლანტაცია, საშუალოდ, 3 ტ⁷. ჩაის ფოთოლს იძლევა (მაქსიმუმ 3 ფოთოლი და 1 დუცი, 3L&B) წელიწადში. ჩაის უმეტესად აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში 3-4-ჯერ კრეფენ. დანართში მოცემული ცხრილი A2 გვიჩვენებს ფერმერის 1 ჰა მოვლილი პლანტაციის ხარჯებსა და სარგებელს იმ დაშვებით, რომ 1კგ. ჩაის ფოთლის ფასი, საშუალოდ, 2 ლარია. 1კგ. ჩაის ფოთლის ღირებულება ითვლება საშუალო ფერმერული ოჯახის (1 ჰა მიწიდან, საშუალოდ, მიიღება 3 ტ. ჩაის ფოთოლი) დანახარჯების მიხედვით. დეტალური ინფორმაცია ფერმერის დანახარჯების შესახებ მოცემულია დანართში, ცხრილ A2-ში.

7.4.2.2 გადამამუშავებელი

გადამამუშავებელი 1 კგ. ნედლეულს 1.8-2.2 ლარად ყიდულობს. ვინაიდან 1 კგ. დამუშავებული ჩაის მისაღებად 4-4.5 კგ. ჩაის ფოთოლია საჭირო,

გადამამუშავებლის დანახარჯი ნედლეულზე 8-9 ლარია.

ჩვენი სავსე კვლევებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, მცირე მასშტაბის ქარხნები 1 ტ. ჩაის ფოთლისგან იღებენ 150 კგ. მაღალი ხარისხის (2L&B, 60%) და 100 კგ. საშუალო ხარისხის (3L&B, 40%) ჩაის. შედეგად, 1 ტ. ჩაის ფოთლისგან ქარხანა იღებს 250 კგ. მზა ჩაის.

2015 წელს 1 კგ. მაღალი ხარისხის დასაყენებელი ჩაის საბითუმო ფასი (დაფასოების გარეშე) 20-30 ლარის ფარგლებში მერყეობდა. საშუალო ხარისხის ფხვიერი ჩაის (დაფასოების გარეშე) ფასი 12 ლარს შეადგენდა, რაც მაღალი ხარისხის ჩაის ფასის თითქმის ნახევარია.

ამრიგად, თუ დავითვლით კომპანიის მიერ 1 ტ. ჩაის ფოთლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს (საშუალო საბითუმო გასაყიდი ფასი 25 ლარი მაღალი, 12 ლარი კი საშუალო ხარისხის ჩაიზე), მივიღებთ 3.75 ათას ლარს მაღალი, 1.2 ათას ლარს საშუალო ხარისხის ჩაიზე. ამ მონაცემებით კომპანიის შემოსავალი 4.95 ათასი ლარია.

რაც შეეხება ხარჯებს, 1 კგ. ჩაის ფოთლის საბითუმო ფასი 1.8-2.2 ლარია (2015 წლის მონაცემებით). 1 ტ. ჩაის ფოთოლზე გადამამუშავებელი კომპანია, საშუალოდ, ხარჯავს 2 ათას ლარს (საშუალოდ 2 ლარი 1კგ-ზე). დეტალური ინფორმაცია გადამამუშავებლის დანახარჯებსა და სარგებელზე იხილეთ დანართში მოცემულ ცხრილ A3-ში.

⁷ CERMA-ს რეპორტის მიხედვით (2003 წ.), საქართველოში ჩაის პლანტაციის მოსავალი ძალიან დაბალია, რაც 400 კგ. მზა ჩაის შეადგენს ჰექტარზე (1,600-1,800 კგ. ჩაის ფოთოლი); თუმცა კარგად მოვლილი ბუჩქის მოსავალი საქართველოს კლიმატურ პირობებში აღწევს 3,000 კგ. ჩაის ფოთოლს 1 ჰექტარზე (600-750 კგ. მზა ჩაი).

7.4.2.3 ბროკერი

ბროკერი ყიდულობს ჩაის გადამამუშავებლისგან. 1 კგ. მაღალი ხარისხის ჩაიში იგი დაახლოებით 25 ლარს იხდის. შემდეგ ურევს სხვადასხვა სახის ჩაის (კუპაჟირებას აკეთებს), ფუთავს და უკეთებს ბრენდირებას. შემდეგ დასრულებულ პროდუქტს ყიდის ცალობით და ბითუმად მოვაჭრეებზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. შიდა ბაზარზე ცალობით და ბითუმად მოვაჭრეებისგან ბროკერი იღებს დაახლოებით 100 ლარს 1 კგ-ზე.

7.4.2.4 ცალობით მოვაჭრა

საქართველოში ჩაის ცალობით მოვაჭრეები არიან მინი/სუპერ და ჰიპერმარკეტები, კაფე/რესტორნები, სასტუმროები და ჩაის სახლები. 1 კგ. ჩაის ფასი მომხმარებლისთვის (მაღალი ხარისხის ჩაის შემთხვევაში) ხშირად 130 ლარია. მომხმარებლები ხშირად მცირე პორციებს ყიდულობენ, მაგალითად 50 ან 100-გრამიან ჩაის პაკეტებს ან პატარა ყუთებში ლამაზად შეფუთულ ჩაის პაკეტებს (შედარებით იაფი და ყველაზე უფრო მოთხოვნადია⁸).

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ეს არის უხეში გამოთვლები და პრაქტიკაში ბევრად მეტი არაერთგვაროვნება გვხვდება ჩაის ფასებში, ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე. ცხრილი 2 და გრაფიკი 15 წარმოადგენს დამატებულ ღირებულებასთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ ინფორმაციის შეჯამებას მთლიან ღირებულებათა ჯაჭვში.




ფოტო: ჩაის საშრობი (მაღალი ხარისხის ჩაის წარმოება). 2015 წ.

ცხრილი 2: მოთამაშეთა მიერ დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე (1 კგ. მაღალი ხარისხის დასაყენებელ (მზა) ჩაიზე)

წარმოების ეტაპი	მასალის ან პროდუქტის გასაყიდი ფასი (ლარი)	ხარჯები (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)
	4.5			
ფერმერი	9	4.5	4.5	4.5
გადამამუშავებელი	25	12.5	12.5	16
ბროკერი	100	NA	NA	75
ცალობით მოვაჭრე	130	NA	NA	30
მთლიანი დამატებული ღირებულება				126.5

⁸ თბილისის სუპერმარკეტებში 50-გრამიანი (25-პაკეტიანი) ჩაის ყუთის ფასი 2.3-3.0 ლარია (2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით).

გრაფიკი 15: მთავარი სარგებელი და დამატებულ ღირებულებასთან დაკავშირებული საქმიანობები



მოგების მარჯა მალალი ხარისხის ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში ერთი შეხედვით საკმაოდ მიმზიდველია. მაგალითად, მოგების მარჯა ფერმერებისთვის 50%-ია, გადამამუშავებლებისთვის – 30%. სავლევ კვლევების მონაცემები მიუთითებს, რომ ბროკერების და ცალობით მოვაჭრეების მოგების მარჯა საკმაოდ მალალია. ეს ამართლებს ზოგად მტკიცებას, რომ მოგების მარჯა ყველაზე მალალია დაფასოებისა და ბრენდირების ეტაპებზე (ფენგი და სხვ., 2014 წ.). სამწუხაროდ, ზუსტი გამოთვლების ჩასატარებლად საჭირო მონაცემებზე ხელი არ მიგვიწვდება. როდესაც საქმე დამატებულ ღირებულებას ეხება, ღირებულებათა ჯაჭვის მთავარ მოთამაშეებს შორის პროცენტული წილი შემდეგნაირად ნაწილდება: ფერმერი –

4%, გადამამუშავებელი – 13%, ბროკერი – 59%, ცალობით მოვაჭრე – 24%.

მოგების მარჯა საკმაოდ მიმზიდველია საშუალო ხარისხის ჩაის ღირებულებათა ჯაჭვშიც, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ორ მთავარ ფაქტს: (1) ამ ხარისხის ჩაი ყველაზე მოთხოვნადია ბაზარზე (ჩაის პაკეტების სახით), (2) მალალი ხარისხის ჩაის წარმოების შედეგად მიღებული ნარჩენები გამოიყენება საშუალო ხარისხის ჩაის საწარმოებლად. ეს დამატებითი შემოსავალია ჩაის გადამამუშავებელი კომპანიებისთვის. თუმცა ამ კომპანიებს უწევთ აგრესიული ბრენდინგისა და მარკეტინგის კამპანიების წარმოება, რათა კონკურენცია გაუწიონ ბევრ ეროვნულ და საერთაშორისო კომპანიას.

ცხრილი 3: მოთამაშეთა დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე (1კგ. დაბალი ხარისხის დასაყენებელ (მზა) ჩაიზე, 4-5-6 ფოთოლი და 1 კვირტი)⁹

წარმოების ეტაპი	მასალის ან პროდუქტის გასაყიდი ფასი (ლარი)	ხარჯები (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)
	2.14			
გადამამუშავებელი	3.5	3.14	0.36	1.36
უცხოელი ცალობით მოვაჭრე	NA	NA	NA	NA
მთლიანი დამატებული ღირებულება				NA

მოგების მარჯა დაბალი ხარისხის ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში არაა მიმზიდველი, რადგან ფასი ძალიან დაბალია, საწარმოო ხარჯები კი მაღალი, რომელიც მასშტაბის ეკონომიის არარსებობის გამო კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ დაბალი ხარისხის ჩაის მწარმოებელ ქართულ კომპანიებს არ აქვთ კონკურენტული უპირატესობა თავის საერთაშორისო კონკურენტებთან შედარებით (დაბალი ხარისხის ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის თითოეული რგოლის დამატებული ღირებულების დეტალური ანალიზი წარმოდგენილია დანართში, ცხრილები A4 და A5). მეტიც, ქართული დაბალი ხარისხის ჩაის ექსპორტიორები კარგავენ ტრადიციულ ბაზრებს, რაც აისახება ჩაის ექსპორტის

მკვეთრ შემცირებაში (იხ. ზემოთ მოცემული გრაფიკი 3).

7.5 მთავარი მოთამაშები და მათი ურთიერთკავშირები¹⁰

7.5.1 ურთიერთობები ღირებულებათა ჯაჭვი-ზონტალურ ჯაჭვში

ინტერვიუების დროს გამოვლინდა ქვემოთ მოყვანილი ჩაის სექტორის ჰორიზონტალური ღირებულებათა ჯაჭვის ურთიერთკავშირები. შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ (ცხრილი 4: ჰორიზონტალური ღირებულებათა ჯაჭვის ურთიერთკავშირები).

ცხრილი 4: ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ჯაჭვში

ურთიერთკავშირი	ურთიერთკავშირის აღწერა
წარმოების საშუალებებისა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის (მუშახელის ჩათვლით)	წარმოების საშუალებათა მიმწოდებლებს შორის გარემო საკმაოდ კონკურენტულია (სასუქები, ჰერბიციდები, სახნავი ტექნიკა და სხვ.), მაგრამ საშუალებების ხარისხი ძალიან დაბალია, ფასები კი – მაღალი (მითუმეტეს, ლარის გაუფასურების გათვალისწინებით). კრედიტების ყველა მიმწოდებელიც (ბანკები თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) საკმაოდ კონკურენტუნარიანები არიან, მაგრამ მათ მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთები და გირავნობა (მაგ.: სახლი/ბინა ქალაქში) ფერმერებისთვის მეტისმეტად მაღალია. თანამედროვე ცოდნის მქონე კარგი აგრონომები/ჩაის სპეციალისტების დეფიციტია, მათი საშუალო ასაკი 50 წელზე მეტია.

⁹ გამოთვლებში გამოყენებულია 2.4 დოლარი/ლარი გაცვლითი კურსი.
¹⁰ ურთიერთკავშირების ცხრილები განახლდა ი. კოჭლამაზაშვილისა და სხვათა ქართული ცხვრის ღირებულებათა ჯაჭვის (2014 წ.) და ლ. სორგის ქართული თხილის ღირებულებათა ჯაჭვის (2012 წ.) კვლევების მიხედვით.

ფერმერებს შორის	<p>საქართველოში გვხვდება მენაიეობის ფერმების/ფერმერების ფართო სპექტრი. საქსტატის 2004 წლის (ჯერჯერობით ერთადერთი ხელმისაწვდომი) მონაცემებით, ჩაის პლანტაციებს 15,878 შინამეურნეობა ან ფირმა ფლობს. მათგან 99%-ს 1 ჰა-ზე ნაკლები ჩაის პლანტაცია აქვს.</p> <p>ფერმერები ერთმანეთს უზიარებენ ცოდნასა და გამოცდილებას. ბევრმა მათგანმა თანამშრომლობა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ახალი პირობების ფარგლებში დაიწყო. თუმცა სიტუაცია ფერმერთა სხვადასხვა ჯგუფებსა და ინდივიდუალურ ფერმერებს შორის ხშირად ერთიანი არ არის. მაგალითად, მათ არ აქვთ ძლიერი კოლექტიური მარკეტინგული ძალისხმევა.</p>
გადამამუშავებლებს შორის	<p>არსებობს გადამამუშავებელი საწარმოების ორი ძირითადი კატეგორია: მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მსხვილი გადამამუშავებლები. პირველი კატეგორია გულისხმობს შინამეურნეობებისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (შპს ან კოოპერატივი) დონეზე დამუშავებას. ნედლი ჩაის ფოთლის შესყიდვისა და დამუშავების მცდელობის გამო, მათ შორის ურთიერთობები საკმაოდ კონკურენტულია. გარდა ამისა, ისინი თანამშრომლობენ და ერთმანეთს გამოცდილებასაც უზიარებენ. მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოები ნაკლებად თანამშრომლობენ, რადგან ისინი საბოლოო პროდუქტის გაყიდვისას უწევენ ერთმანეთს კონკურენციას (შიდა თუ საერთაშორისო ბაზრებზე).</p>
მოვაჭრეებს შორის	<p>მოვაჭრეებში იგულისხმება ცალკობით და ბითუმად (ბროკერები) მოვაჭრეები და ექსპორტიორები. მათ შორის კავშირები ძალიან კონკურენტულია და ისინი არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.</p>
მომხმარებლებს შორის	<p>ქვეყნის შიდა ბაზარზე იმპორტირებული ჩაი დომინირებს. რეკლამები პოპულარობას უწევს იმპორტირებულ ჩაის პროდუქციას. ამდენად, ქართველი მომხმარებელი ხშირად გვერდს უვლის ადგილობრივად წარმოებულ ჩაის. ეს, მომხმარებლების აზრით, პირველ რიგში, გამოწვეულია ჩაის შეზღუდული არჩევნისა და არც ისე კარგი ხარისხის (უმეტესად დახარისხების, შეფუთვისა და ბრენდინგის) გამო.</p>

7.5.2 ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჯაჭვში

ინტერვიუების დროს გამოვლინდა ქვემოთ მოყვანილი ჩაის სექტორის ვერტიკალური ღირებულებათა ჯაჭვის კავშირები (ცხრილი 5).

ცხრილი 5: ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჯაჭვში

ურთიერთკავშირი	ურთიერთკავშირის აღწერა
წარმოების საშუალებებისა და მომსახურების მიწოდებლებსა და ფერმერებს შორის	<p>მენაიე ფერმერების უმრავლესობა შინამეურნეობიდანაა და იშვიათად ქირაობს სასოფლო-სამეურნეო მუშახელს. საშუალო და მსხვილი ფერმები ასაქმებენ დამატებით მუშახელს, რომლებზეც მოთხოვნა მოსავლის აღების პერიოდში საკმაოდ მაღალია. თუმცა მკაცრი სამუშაო პირობები პლანტაციებში და დაბალი ხელფასები აიძულებს სოფლის მოსახლეობას, სხვა სამსახური ეძებოს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ახალ თაობას მენაიეობის ფერმაში მუშაობა არ სურს. მუშახელის მიწოდების სიმცირის გამო, ხელფასები წლიდან წლამდე იზრდება. ამასთან, ფერმერებს არ აქვთ სტიმული, შეინარჩუნონ კარგი მუშახელი; ასეთივე დამოკიდებულება აქვს მუშახელსაც. ოფიციალურ ხელშეკრულებასაც იშვიათად იყენებენ. ხელფასს დღიურად ან დაკრეფილი მოსავლის მიხედვით იხდიან.</p> <p>წარმოების საშუალებებით (სასუქები, ჰერბიციდები, და სხვ.) ბევრი სხვადასხვა პირი ამარაგებს, თუმცა ხარისხი და ფასები ხშირად არაგონივრულია. ფერმერების უმეტესობა პლანტაციებში არ იყენებს სასუქებსა და ჰერბიციდებს, ხშირ შემთხვევაში, ფულად სახსრებთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და წინდაუხედაობის გამო. სასოფლო-სამეურნეო სესხები ძალიან ძვირია და მოითხოვს მაღალი ღირებულების გირავნობას. მართალია, მთავრობას აქვს იაფი აგრარული სესხები, მაგრამ მათ მაინც ბანკები გასცემენ და ჩაის პლანტაციების მფლობელებს ისევ ზემოთ ხსენებული პრობლემები ექმნებათ.</p>

<p>ფერმერებსა და გადამამუშავებლებს შორის</p>	<p>ფერმერებსა და გადამამუშავებლებს შორის ურთიერთობა საკმაოდ კარგია; არსებობს გრძელვადიანი ურთიერთობებისა და ბიზნეს-პარტნიორობის ინტერესი. კრედიტით ყიდვა და შემდეგ ამ კრედიტების დროულად გადახდა პრობლემას არ წარმოადგენს. გამოწვევა შეიძლება იყოს ჩაის ფოთლის ხარისხი. ზოგჯერ გადამამუშავებლები ითხოვენ განსაზღვრული ხარისხის ჩაის (მაგ.: 2-3 ფოთოლი და 1 კვირტი), მაგრამ ჩაის ფოთლის მწარმოებელი ფერმერი უფრო დაბალი ხარისხის პროდუქციას აწვდის, რაც (რიგ შემთხვევებში) მხარეებს შორის დავის საგანი ხდება.</p> <p>გადამამუშავებლები ჩაის ფოთლს თავადვე აგროვებენ, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როცა ღირებულებათა ჯაჭვის ამ მოთამაშეებს შორის არიან შემგროვებლები. ჩაის ფოთლის ფასსა და მიწოდების გრაფიკს მხარეები წინასწარ განიხილავენ და ათანხმებენ.</p>
<p>გადამამუშავებლებსა და მოვაჭრეებს (ცალობით და ბითუმად, ბროკერებს) მოვაჭრეებსა და ექსპორტიორებს შორის</p>	<p>გადამამუშავებლებსა და მოვაჭრეებს შორის ურთიერთობა კარგი და ბიზნესზე ორიენტირებულია. ჩაის მიწოდება კრედიტით და ამ კრედიტის გადახდა ხანდახან პრობლემაა, თუმცა უმეტესწილად გადახდა დროულად ხდება. ჩაის გადამამუშავებლებისა და მოვაჭრეების უმეტესობა ნაკლებად კრეატიულია, არ იციან, უკეთესად როგორ გაყიდონ საკუთარი პროდუქცია ბაზარზე (მაგ.: დახარისხება, შეფუთვა, ბრენდინგი, პოპულარიზება, პროდუქტების დივერსიფიკაცია და სხვ.) ან არ აქვთ ამ აქტივობებისთვის საკმარისი ფინანსები. არის შემთხვევები, როდესაც მხარეები განიხილავენ თაბოზე პროდუქციისთვის შესაფერის ადგილს.</p>
<p>ჩაის გამყიდველები და მომხმარებლები</p>	<p>მომხმარებელმა კარგად არ იცის ქართული ჩაის სარგებლის შესახებ. ამასთან, მომხმარებელი არ გრძნობს სიამაყეს ადგილობრივი ჩაის ყიდვის დროს (Kar. ge მოძრაობის¹¹ მიხედვით). დახარისხების, შეფუთვისა და ბრენდინგის დაბალი ხარისხი, ასევე, ხელს უშლის მომხმარებლის ყურადღების მოპოვებას და ვერ უბიძგებს მათ პროდუქტის ყიდვისკენ. ჩაის დეგუსტაციისა და ქართველ ჩაის მწარმოებელთა შორის კონკურენციის ნაკლებობის გამო, მომხმარებელმა არ იცის ჩაის ხარისხის შესახებ.</p>

¹¹ <http://iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2/entry/give-your-country-a-holiday-gift-buy-small-buy-local-buy-georgian>

8. ქართული ჩაის სექტორის SWOT-ანალიზი

ცხრილი 6: ქართული ჩაის სექტორის SWOT-ანალიზი

	ძლიერი მხარეები (S)	სუსტი მხარეები (W)
წარმოება	<ul style="list-style-type: none"> ჩაის სუბტროპიკული მცენარეა, რომელიც უძლებს საქართველოში ხშირად წარმოქმნილ კლიმატურ შოკებს (ყინვას, სეტყვას, წყალდიდობას და სხვ.) საქართველოში არ არის ჩაის ბუჩქისთვის დამახასიათებელი დაავადებები (ცივი ზამთარი მცენარის დაცვის ბუნებრივი საშუალებაა) საბჭოთა კავშირში საქართველო იყო მთავარი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა. მას ჩაის მოყვანის დიდი ტრადიციები აქვს და ქართული „ბრენდის“ აღდგენა ადვილია. ჩაის წარმოებისთვის კარგი კლიმატური ზონა. შავი ზღვა და კავკასიონის ქედი ქმნის კარგ პირობებს ხარისხიანი ჩაის მოყვანისთვის საქართველოში ჩაის პლანტაციების უმეტესობას არ სჭირდება სარწყავი და სადრენაჟო ინფრასტრუქტურა საქართველოს ჩაის პლანტაციებს არ სჭირდება დამატებითი დანერღილება (რაც საჭიროა იაპონიაში) ჩაის ფესვები ძალიან ძლიერია და შეუძლიათ ათწლეულებს გაუძლონ, თუ საუკუნეებს არა. ამასთანავე, ისინი უძლებს ცეცხლს. ჩაის წელიწადში რამდენიმეჯერ იკრიფება (3-4-ჯერ, აპრილიდან სექტემბრამდე) ჩაის მუშავიან ნიადაგში იზრდება, რომელიც საქართველოს ჩაის მწარმოებელ რეგიონებში გვხვდება საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ჩაის მწარმოებელი ქვეყანაა მსოფლიოში, რაც ჩაის სპეციფიკურ არომატსა და გემოს ანიჭებს (მაგალითად, ვარდის არომატი) პლანტაციები და ჩაის ბუჩქები ძალიან ბუნებრივია; ჰერბიციდები და სასუქები 25 წელიწადზე მეტია არ გამოუყენებიათ. 	<ul style="list-style-type: none"> ქვეყანაში ალარაა დარჩენილი ჩაის სანაშენები პლანტაციების ზომამ და მთლიანმა პროდუქტიულობამ მკვეთრად იკლო; ბევრი მათგანი მიტოვებული და/ან გაველურებულია პლანტაციების უმეტესობა სახელმწიფო საკუთრებაშია და არაა შენარჩუნებული. ფერმერებსა და გადაამამუშავებლებს ამ პლანტაციების დაქირავება საკმაოდ ძვირი უჯდებათ ქონების გადასახადი მიწაზე გაიზარდა პლანტაციების უმეტეს ნაწილზე იზრდება სარეველა მცენარეები (მაგ: გვიმრა) მიტოვებული პლანტაციების უმეტესობას სჭირდება ხელახლა დამუშავება. მათი უმეტესობა არ არის შემოღობილი, რის გამოც შეიძლება პირუტყვმა დააზიანოს ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება საკმაოდ ძვირია და ბევრ დროს მოითხოვს (5-7-ჯერ უფრო ძვირი, ვიდრე მიტოვებული პლანტაციების აღდგენა) 1985 წელთან შედარებით, ჩაის პლანტაციების მხოლოდ 2.5% ფუნქციონირებს (თუ 1985 წელს 67,000 ჰა პლანტაცია მუშავდებოდა, 2014 წელს მხოლოდ 1,700 ჰა ფუნქციონირებდა) საქართველოში ჩაის მხოლოდ 6 თვის განმავლობაში იკრიფება, მაშინ, როდესაც ჩაის მწარმოებელ სხვა ქვეყნებში მოსავალს მთელი წლის განმავლობაში იღებენ. ბევრი ადამიანი ჩაის მწარმოებელ რეგიონებში ივიწყებს კარგი ხარისხის ჩაის ფოთლის კრეფის ტექნოლოგიას ჩაის პლანტაციების პროდუქტიულობა ძალიან დაბალია საქართველოში მიღებული ჩაის მოსავალი ხვდება 2-ზე მეტი ფოთლისა და 1 კვირტის (>2L&B) კატეგორიაში, რომელიც მხოლოდ დაბალი ხარისხის ჩაის წარმოების საშუალებას იძლევა.

<p>გადამუშავება</p>	<ul style="list-style-type: none"> საქართველოში განსაკუთრებით რეკომენდირებულია მწვანე ჩაის წარმოება საბჭოთა კავშირის დროს საქართველო აწარმოებდა ჩაის გადამამუშავებელ ტექნიკასა და ჩაის წარმოებისთვის საჭირო სხვა აღჭურვილობებს, რითიც ძლიერ ინსტიტუციურ მეხსიერებას ქმნიდა. 	<ul style="list-style-type: none"> დასამუშავებელი ჩაის ფოთლის სიმცირე ელექტროენერჯის ფასი მაღალია, რომელიც მთლიანი საწარმოო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს გადამამუშავებელი მოწყობილობები ძალიან ძველი და ვადაგასულია, მაგრამ ისევ მუშაობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩაის გადამამუშავებელი ქარხნების უმეტესობა განადგურდა და გაიძარცვა
<p>მარკეტინგი</p>	<ul style="list-style-type: none"> ექსპორტის დეკლარაცია საქართველოში გამარტივებული და იაფია საქართველოსა და მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნა იზრდება ჩაის ფასი არაელასტიურია. მეტიც, ნატურალური ჩაის ფასი იზრდება საბჭოთა კავშირში ქართული ჩაი ცნობილი იყო, შედეგად, ქართული ჩაის „ბრენდის“ გაცოცხლება ადვილია 	<ul style="list-style-type: none"> რიგ შემთხვევებში კრედიტით გაყიდვა პრობლემატურია ჩაის შენახვა შეიძლება მაქსიმუმ ერთი წლით მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს სუსტი მარკეტინგული სტრატეგიები აქვთ მეზობელი ქვეყნების მიერ დაწესებული ცალმხრივი სავაჭრო ბარიერები
<p>სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური</p>	<ul style="list-style-type: none"> ანასეულის ჩაის ლაბორატორია და კვლევითი ცენტრი კვლავ ფუნქციონირებს საბჭოთა კავშირის დროს დაახლოებით 180,000 ადამიანი იყო ჩართული ჩაის ღირებულებათა ჯაჭვში. აქედან გამომდინარე, საქართველოს კარგი ინსტიტუციური მეხსიერება აქვს ჩაისთან დაკავშირებით ბოლო 2 წლის განმავლობაში იქმნებოდა და ვითარდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (დღემდე 30-მდე კოოპერატივი შეიქმნა მეჩაიეობაში) თითქმის ყველა ოჯახი და შინამეურნეობა დღეში რამდენჯერმე მოიხმარს ჩაის 	<ul style="list-style-type: none"> ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთები ჩაის სექტორის დაფინანსებაზე; ბანკები გირაოს სახით არ იღებენ ჩაის პლანტაციებს და გადამამუშავებელ მოწყობილობებს ჩაის მწარმოებელი რეგიონის მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის თურქეთში სამუშაოდ, რადგან ადგილზე სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა ბევრი არაა ჩაის გადამამუშავების შესახებ თანამედროვე ცოდნის ნაკლებობა ჩაის სექტორისკენ მიმართული სამთავრობო პროგრამების ნაკლებობა ბოლო წლების განმავლობაში, რაც განაპირობებს სექტორში კაპიტალის, ინფრასტრუქტურისა და განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობას.
	<p>შესაძლებლობები (O)</p>	<p>საფრთხეები (T)</p>
<p>წარმოება</p>	<ul style="list-style-type: none"> გარემო პირობები, რომლებიც ამცირებს ქიმიკატების გამოყენების საჭიროებას. ეს ხელს უწყობს ორგანული/ბიო ჩაის წარმოებას, რომელიც მაღალი ღირებულების პროდუქტია 	<ul style="list-style-type: none"> ჩაის პლანტაციებს ანაცვლებს სხვა კულტურები (თხილი, მოცვი, კივი და სხვა), რადგან მწარმოებლები ამ საქონლისთვის უფრო მაღალ შემოსავლებს იღებენ


	<ul style="list-style-type: none"> ჩაის პლანტაციების ხელახალი დამუშავება, ახალი ჩაის ბუჩქის გაშენებაზე გაცილებით იაფი ჯდება შესაძლებელია 100,000 ჰა ჩაის პლანტაციების ხელახლა დამუშავება 	<ul style="list-style-type: none"> დამცავი კოსტუმის გარეშე ჩაის კრეფა ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს (ქალებში ნაყოფიერების და სახსრების პრობლემები) მომავალში, ჩაის ბუჩქების დაავადების აფეთქების შემთხვევაში, არ არსებობს დაავადებასთან ბრძოლის სტრატეგია.
<p>გადამუშავება</p>	<ul style="list-style-type: none"> ახალმა, თანამედროვე გადამამუშავებელმა დანადგარებმა (და ქარხნის შენობების განახლებამ) შეიძლება გააუმჯობესოს საბოლოო პროდუქტის ხარისხი 	<ul style="list-style-type: none"> წარმოების საშუალებათა მიმწოდებელი ქარხნების დაკარგვა/ განადგურება წარმოების საშუალებების ფასების მერყეობა, რასაც შეუძლია მკვეთრად შეამციროს შემოსავლები ან გაზარდოს ხარჯები და აიძულოს ჩაის მწარმოებლები, დატოვონ ბიზნესი არასასურველი ცვლილებები კანონში, რაც ხელს შეუშლის ჩაის არსებული გადამამუშავებლების ყოველდღიურ საქმიანობას
<p>მარკეტინგი</p>	<ul style="list-style-type: none"> ევროპულ ბაზართან სიახლოვე, განსაკუთრებით DCFTA-ის პირობებში შესაძლებელია ქართული ჩაის გაყიდვა ქართულ დიასპორაზე მთელ მსოფლიოში და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რომლებსაც ქართული ჩაის ბრენდის ძველი დიდება ახსოვთ ჩაის იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობა (ღირებულების მიხედვით) ძალიან მაღალია (3.6, 2014 წელს). შედეგად, ადგილობრივად წარმოებულ ჩაის შეუძლია თავისი ადგილი დაიმკვიდროს ბაზარზე, თუ ხარისხი და ფასი კონკურენტუნარიანი იქნება 	<ul style="list-style-type: none"> წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებში გამოუცდელიობამ შეიძლება რესურსების ხარჯვა და მარკეტინგული ინვესტიციიდან დაბალი შემოსავლების მიღება განაპირობოს მომხმარებლის გემოვნების ცვლით, რუსული ემბარგოთი, საექსპორტო ტარიფების შემოღებით და/ან ახალწვეულებთან კონკურენტული უპირატესობის დაკარგვით განპირობებული არსებული ბაზრების დაკარგვა
<p>სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური</p>	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს მთავრობის სუბსიდიების ფარგლებში არსებობს კრედიტის იაფი წყაროები, მაგრამ გირავნობა პრობლემაა უმეტეს შემთხვევებში ჩაის მწარმოებელი რეგიონებიდან სეზონზე ზოგიერთი ადამიანი სამუშაოდ თურქეთში მიდის, საიდანაც მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ბრუნდებიან საქართველოს მთავრობა მუშაობს ჩაის განვითარების სტრატეგიაზე ჩაის სექტორი მოითხოვს ბევრ შრომას, ამიტომაც შესაძლებელია ბევრი ადამიანის დასაქმება 	<ul style="list-style-type: none"> ჯანდაცვის პრაქტიკისა და დამცავი აღჭურვილობის არარსებობა სასუქებისა და ჰერბიციდების გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება ზიანი მიყენოს გარემოს მონოპოლისტური ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბება ადგილობრივი ბაზრების იმპორტირებული ჩაით გაჭერება

9. მეჩაიეობის კოოპერატივები

2015 წლის ივლისის მდგომარეობით, საქართველოში მეჩაიეობის 27 კოოპერატივი იყო დარეგისტრირებული. მეჩაიეობის კოოპერატივების უმეტესობა გურიაშია, განსაკუთრებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. რამდენიმე კოოპერატივი მუშაობს სამეგრელოსა და


იმერეთში. ამ დროისთვის აჭარაში არ არის დარეგისტრირებული მეჩაიეობის კოოპერატივი. გრაფიკები 16 და 17 გვანჯდის დეტალურ ინფორმაციას მეჩაიეობის კოოპერატივების განაწილებაზე მუნიციპალიტეტების მიხედვით.

გრაფიკი 16: მეჩაიეობის კოოპერატივები მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების სააგენტო (ACDA). ივლისი, 2015 წ.

გრაფიკი 17: მენაიეობის კოოპერატივები რეგიონების მიხედვით



წყარო: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების სააგენტო (ACDA). ივლისი, 2015 წ.

მენაიეობის 27 კოოპერატივს 150 წევრი ჰყავს. ისინი ერთობლივად დაახლოებით 165 ჰა ჩაის პლანტაციას ფლობენ (საკუთრებაში ან იჯარით), რომელთა მხოლოდ მესამედია პროდუქტიული. მენაიეობის კოოპერატივების

უმეტესობა აწარმოებს ჩაის ფოთოლს, მხოლოდ 6 მათგანი ამუშავებს ჩაის ფოთოლს. 2014 წელს მათ ერთობლივად 7 ტ. საშუალო და მაღალი ხარისხის ჩაი აწარმოეს.

ჩანართი 2: შემთხვევის ანალიზი – „თანამშრომლობის შიდა ქაოსი: კომპანია გურია-14-ის საქმე“

ადრეულ 1990-იან წლებში, საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები არასახარბიელო ჩანდა. სამოქალაქო და რეგიონული ომების შედეგად გამოწვეულ განადგურებას საბჭოთა მიწოდების ჯაჭვის სრული ჩამოშლა მოჰყვა. სოფლები, ფერმები და პლანტაციები მიტოვებული, ხოლო ქარხნები და მათი ტექნიკური შესაძლებლობები განადგურებული იყო. თუ, მიმდინარე ქაოსის პირობებში, მამაც მენარმეებს სურდათ ბიზნესის დაწყება და თავის დამკვიდრება არარსებულ ბაზარზე, მათ მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვი სუფთა ფურცლიდან უნდა დაეწყოთ – წარმოების საშუალებებზე წვდომის მოპოვებიდან წარმოებისა და საბოლოოდ ბაზარზე

პროდუქტის გაყიდვამდე. ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად და ნაწილობრივ მათი ერთგულებისა და სიყვარულის გამო, რომელიც თავიანთი პროფესიის მიმართ გააჩნდათ (შესაძლებელია მათი გურული ხასიათიდან გამომდინარე), ორმა ფერმერმა, ავთანდილ (ავთო) ლომთათიძემ და მერაბ დოლიძემ, გადაწყვიტა ერთად ემუშავა და ჩაის გადამამუშავებელი ერთ-ერთი პირველი ქარხანა შეექმნა ქვეყანაში. მათ თავდაჭერებულობას ამყარებდა მათი უნარი ჩაის გადამამუშავების პროცესში. მერაბი, გამოცდილი ინჟინერი, ჩაის გადამამუშავების ხაზის აწყობაში იყო დახელოვებული.

ავთო განათლებით ქიმიკოსი იყო, ასევე ჩაის ტექნოლოგი პრაქტიკული სწავლების შედეგად. მისი მთავარი მოვალეობა იყო, დარწმუნებულიყო, რომ ჩაის გადამამუშავების პროცესი შეუფერხებლად მიდიოდა და საბოლოო პროდუქტი სასურველ სტანდარტებს შეესაბამებოდა.

დაახლოებით 5 წლის შემდეგ, გიორგი ტრაპაიძემ – მესამე ფერმერი გურიიდან, რომელსაც აგრარულ გადამამუშავების პროცესში გამოცდილება ჰქონდა – განიზრახა ჩაის წარმოების ბიზნესის დაწყება. ის მალევე დაუმეგობრდა მერაბსა და ავთოს, მათთან ერთად ჩამოაყალიბა კოოპერატივის არაფორმალური შეთანხმება და მას შემდეგ დაიწყო მათი საერთო საქმიანობა. გიორგის, ავთოსა და მერაბის სამეული ბევრი მიმართულებით საქმიანობდა, ჩაის გადამამუშავების ნოუ-ჰაუს გაზიარების, ჩაის ფოთლების ნაკლებობის დროს ერთმანეთის მხარდაჭერის, ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის ხარჯების განაწილებისა და საერთო მარკეტინგულ შესაძლებლობებში ჩართვის ჩათვლით.

„მე მერაბს რჩევისთვის მივმართე. თუ ქარბი ჩაის ფოთლების მიწოდება მექნებოდა, მერაბსა და ავთოს ზედმეტ რაოდენობას მივაწვდიდი დასამუშავებლად და ნარჩენებს თავიდან ავიცილებდი. ჩვენ ვურევდით ერთმანეთის ჩაის და ერთი პროდუქტის სახით ვყიდდით დისტრიბუციის ხარჯების შესამცირებლად და უფრო მაღალი მასშტაბის ეკონომიის მისაღებად,“ – გიორგი ტრაპაიძე.

ამ სახის კოოპერატივის ჩამოყალიბებით ყველამ ისარგებლა. 2011 წელს დაარსდა შპს ლოდო (ორი თავდაპირველი დამაარსებლის გვარების, ლომათათიძისა და დოლიძის, ვარიაცია). კომპანიის მეშვეობით ტრიო ჩაის ლოკალურ ბაზარზე ყიდდა. 2011 და 2012 წელს მათ ჩამოაყალიბეს პარტნიორობა მარნეულის სასურსათო ქარხანასთან (MFF), რომელიც შემდეგ ყიდულობდა მათგან ჩაის და ყიდდა MFF-ის ბრენდის სახელით. 2012 და 2013 წლებში მათი ჩაი შოთა ბითაძემ (ჩაის ბროკერი, რომელიც ყიდდა ჩაის როგორც ლოკალურად, ისე საზღვარგარეთ) შეფუთა და გაყიდა. ბითაძის დახმარებით გურიაში გადამამუშავებული ჩაი უკრაინაშიც

იყიდებოდა.
თანამშრომლობა, რომელმაც შედეგი გამოიღო

2014 წლის თებერვალში არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმი (ქვა საერთაშორისო კავკასიაში, რეგიონული განვითარების ასოციაცია და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი) ატარებდა რეგიონულ შეხვედრებს, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის (ENPARD) ფარგლებში კონსორციუმის მიერ ტექნიკური და ფინანსური დახმარების შესახებ ფერმერების ინფორმირებას ისახავდა მიზნად. გიორგი და მისი პარტნიორები ამ შეხვედრაზე იყვნენ მიწვეულები.

ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მიღებისათვის არსებული კრიტერიუმი მოითხოვდა კოოპერატივში მინიმუმ 5 წევრის ყოლას. გიორგის 8 გურული ფერმერი ჰყავდა კოოპერატივში გაწევრიანებული, მათ შორის იყო თვითონაც. კოოპერატივის ფარგლებში, მათ თავი მოუყარეს ყველას გამოცდილებას, რომელიც წლების განმავლობაში პარტნიორული ურთიერთობების შედეგად ჰქონდათ დაგროვილი. ENPARD-ის გრანტი ძალიან მიმზიდველ პერსპექტივად ჩანდა. გიორგის ხელმძღვანელობით, მათ მალევე მიიღეს ოფიციალური კოოპერატივის სტატუსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსგან (ACDA) და ქვას წარუდგინეს საგრანტო განაცხადი. როგორც მოსალოდნელი იყო, ENPARD-ის მხარდაჭერით კოოპერატივმა 2014 წლის მეორენახევრიდან დაიწყო ფუნქციონირება, როგორც ჩაის კოოპერატივმა „კომპანია გურია-14“-ის სახელით.

ENPARD-ის წვლილი: კოოპერატივის უპირატესობები

ENPARD-ის გრანტს ჰქონდა რიგი დამატებითი უპირატესობებისა. კომპანია გურია-14-ს შესაძლებლობა მიეცა, შეეძინა 3 სხვადასხვა სახის ჩაის როლერები, არომატის ღუმელთან, ჩაის საშრობ მანქანასთან, მწვანე ჩაის წარმოებისთვის საჭირო მანქანასთან, ჩაის დამახარისხებელ მანქანასთან და ჩაის ტრანსპორტირებისთვის საჭირო სატვირთოსთან ერთად. ისინი უკვე

ჩაის ორ სხვა ბაზარზეც ყიდის. ისინი დიდი მოცულობით ჩაის ყიდიან ახალქალაქში. ისინი, ასევე, აფასობენ და დაფასებულ ჩაის ყიდიან ჩოხატაურის ადგილობრივ ბაზარზე.

სამომავლოდ არსებული პრობლემები, გამოწვევები და გეგმები

ჩაის ფოთლის ნედლეულის ნაკლებობა კოოპერატივის მთავარი პრობლემაა. კოოპერატივი ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში ფუნქციონირებს, თუმცა, პოტენციურად, გაცილებით დიდი მოცულობის ჩაის ფოთლის გადამუშავება შეუძლია.

არსებული პლანტაციების დაბალი პროდუქტიულობაა ნაწილობრივ ნედლეულის ნაკლებობის მიზეზი. გიორგის თქმით, ფერმერებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მოსავალი მიწის კარგად დამუშავებითა და სასუქების გამოყენებით.

„სასუქის გამოყენების შემთხვევაში, ფერმერს შესაძლებლობა ექნება, ჩაის მოსავალი წელიწადში 6-ჯერ მიიღოს 3-ჯერ აღების ნაცვლად და გამოსავლიანობა 2-ჯერ გაზარდოს,“ – გიორგი.

თუმცა, ფერმერების „სიბეცე“ (ანუ ასიმეტრიული დროთაშორისი უპირატესობა) (დუფლო, 2011 წ.) იწვევს ჩაის პლანტაციებში უფრო მეტი რესურსის ინვესტირების პროცესის გადავადებას, რომელიც საუკეთესო გამოსავალია მუდმივი დაბალი პროდუქტიულობის გამოსასწორებლად.

ჩაის ფოთლების შეზღუდული წარმოების კიდევ ერთი მიზეზი მთავრობის მფლობელობაში არსებულ ჩაის პლანტაციებზე მაღალი ქირა და არსებული პლანტაციების ხელახალი დამუშავებისთვის საჭირო მაღალი დანახარჯებია. ამ პრობლემებს ამძაფრებს კრედიტისა და ფინანსების მოძიების შეზღუდული შესაძლებლობებიც. ბანკები მაღალი ღირებულების გირაოს მოითხოვენ, როცა ჩაის პლანტაციების გირავნობის ღირებულება მიზერულია – 500 ლარი ერთ ჰა-ზე.

სამართლებრივი პრობლემებიც არსებობს, რაც შესაძლებელია საბედისწერო

აღმოჩნდეს ჩაის კოოპერატივებისთვის. აგრარული კოოპერატივების შესახებ კანონის ბოლო ცვლილებების მიხედვით, კოოპერატივებს არ აქვთ უფლება, არაწევრებისგან შეისყიდონ ნედლეულის 30%-ზე მეტი, დარჩენილი ნაწილი თვითონ უნდა აწარმოონ. გიორგის თქმით, მისი კოოპერატივის შესაძლებლობები საქმიანობის სწორად წარმართვისთვის შეიზღუდება ახალი კანონმდებლობით, მანამ, სანამ ისინი კოოპერატივის ზომას მნიშვნელოვნად არ გაზრდიან. ეს არარეალისტურია, ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში მაინც, ნაწილობრივ ინსტიტუციური და სამართლებრივი რეგულაციის არარსებობის გამო, რაც ძალაუფლებას კოოპერატივის დამაარსებლებს უტოვებს და ნაწილობრივ ფერმერების ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო კოოპერატივების შექმნის იდეის მიმართ.

ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგი მომავლის მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი. ისინი იმედოვნებენ, რომ ჩაის ფოთლის წარმოებას საკუთარი პლანტაციებიდან შეძლებენ, გეგმავენ მეტი მუშახელის დაქირავებასაც. ასევე, ფიქრობენ დამატებითი ჩაის პლანტაციების ხელახალ დამუშავებაში ინვესტიციის ჩადებას. მომავალი წლისთვის აპირებენ მწვანე ჩაის წარმოებას. ENPARD-ის გრანტის დახმარებით ჩაის სტანდარტიზირებასა და საექსპორტო ბაზრებზე ბედის ცდას აპირებენ.



ჩაის მკრეფავი ქალბატონი გურიიდან. ივლისი, 2015 (ფოტო: თეონა მაქაცარია).

10. ჩაის საქართველოს პოტენციალი

10.1 დასაქმების შესაძლებლობები

მიუხედავად იმის, რომ ჩაის პლანტაციების უმეტესობა პროდუქტიული აღარაა, ჩაის სექტორს დიდი პოტენციალი აქვს, გააძლიეროს აგრარული ცხოვრება საქართველოს ჩაის მწარმოებელ რეგიონებში.

ამ სოფლებში ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ბევრი უმუშევარი ადამიანი ეძებს სეზონურ სამუშაოს საზღვარგარეთ (უმეტესად თურქეთში) ჩაის ან თხილის სექტორში მუშად სამუშაოდ. ჩაის წარმოება შრომა-ინტენსიურია (ფანგი და სხვები, 2014 წ.). გარდა ამისა, ჩაის, როგორც წესი, ქალები კრეფენ, ამიტომაც ეს სამუშაო სქესის მიხედვით სპეციფიკურია (მ. გროსმანი, 2011 წ.). თუმცა, რამდენიმე ჩაის გადამამუშავებელი ფერმისა და კოოპერატივის (რომელთაც დიდი რაოდენობის ჩაის გადამამუშავება შეუძლიათ, მაგრამ ვერ ამუშავებენ ნედლეულის შეზღუდული რაოდენობის გამო) დირექტორებისა თუ მფლობელების აზრით, ჩაის სექტორის გაძლიერებამ და დარჩენილი ჩაის პლანტაციების პროდუქტიულმა გამოყენებამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ადგილობრივი უმუშევრობის დონის შემცირებაზე, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ურბანულ და საერთაშორისო მიგრაციას და ხელს შეუწყობს სოციალურ ინტეგრაციას ამ მცირე აგრარულ საზოგადოებაში.

გარდა ამისა, საქართველო ტურისტებისთვის პოპულარული დანიშნულების ადგილი ხდება. ჩაის მწარმოებელი რეგიონები, განსაკუთრებით ჭიათურის მთები, მთიანი სამეგრელოს პრეისტორიული გამოქვაბულები და სიმწვანე, გურიისა და აჭარის ლანდშაფტი, ჩაის წარმოებისა და გართობის ერთმანეთთან შეთავსებით შეიძლება მიმზიდველი გახდეს ტურისტებისთვის, რითაც დასაბამი მიეცემა ჩაის ტურიზმის ახალ, განვითარებად კონცეფციას. ჩაის ტურიზმი სწრაფად განვითარებადი ინდუსტრია ხდება ინდოეთში, დარჯელინგის რეგიონში¹², ჩინეთის ფუძიანის პროვინციასა¹³ და უგანდის მთიან რეგიონშიც¹⁴ კი, სადაც ტურისტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მათ შორის ძვირფასი სასტუმროები და კურორტები,

განვითარებისა და მშენებლობის პროცესშია და წვლილი შეაქვს ადგილობრივი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში. ჩაის ტურიზმის განვითარებაზე მიმართულ ძალისხმევას ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა შეუძლია: ის გაზრდის საქართველოს, როგორც პოპულარული ტურისტული ზონის, ცნობადობას და, ამავედროულად, ხელს შეუწყობს ადგილობრივად წარმოებული ჩაის პროდუქტების ბრენდის აღიარებას.

10.2 დამატებითი შემოსავალი სოფლისა და ღარიბების მხარდასაჭერად

ჩაის სექტორში მუშაობით ინდივიდუალურ ფერმერებს შემოსავლის მიღება ორი გზით შეუძლიათ. პირველ რიგში, მათ შეუძლიათ პლანტაციებს მოუარონ და თავადვე აწარმოონ ჩაის ფოთოლი. ჩვენი გამოთვლებით (სავლეთ კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით), სრული დატვირთვით მუშაობის გარეშე, საშუალო ფერმერს შეუძლია წელიწადში გამოიმუშაოს 6000 ლარი 1 ჰა ჩაის პლანტაციაზე მუშაობით, რაც სოფლად მცხოვრები ღარიბი ფერმერების შემოსავლების ფრიად მოკრძალებული ჭამია. შესაძლებელია, სასუქების გამოყენებამ უფრო მეტად გაზარდოს შემოსავლები და მოგება. დუფლოს, კრემერისა და რობინსონის უახლესი კვლევის (2009 წ.) მიხედვით, მართალია, ფერმერებმა იციან სასუქის გამოყენებით მიღებული სარგებლის შესახებ, თუმცა ასიმეტრიული დროთაშორისი უპირატესობის გამო, შეიძლება საკმარისი ინვესტიციები არ ჩადონ სასუქებში. იმავე კვლევას თუ დავუჭერებთ, ჭკვიანურად განსაზღვრულმა მცირე მასშტაბისა და რენტაბელურმა სუბსიდიამ შეიძლება ფერმერებს სასუქის გამოყენებისკენ უბიძგოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველმა ფერმერებმა ქიმიკატების გამოყენებაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ. როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ, ქართულ ჩაის აქვს პოტენციალი, ძვირადღირებულ ბაზრებს მაღალი ხარისხის და ორგანული ჩაი შესთავაზოს. თუმცა ხარისხის ხარჯზე პროდუქტიულობის გაზრდა და მეორადი ბაზრის მომარაგება, შესაძლებელია, ეფექტური დივერსიფიკაციის სტრატეგია აღმოჩნდეს.

¹² ინფორმაციისთვის, იხ. ბმული: <http://www.telegraph.co.uk/travel/destinations/asia/india/9781293/Darjeeling-tea-at-the-top-of-the-Himalayas.html>
¹³ მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <http://edition.cnn.com/2014/06/22/travel/china-tea-travel/>
¹⁴ მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: <https://sunshinetees.wordpress.com/2015/04/19/tea-tourism-in-uganda/>

გარდა ამისა, ფერმერებს შეუძლიათ იმ ჩაის გადამამუშავებელ ქარხნებში იმუშაონ, რომლებსაც ჩაის პლანტაციები აქვთ და ჩაის ფოთლის მოკრეფისთვის მუშახელი ესაჭიროებათ. ჩვენ მიერ გამოკითხული რამდენიმე ფირმის მენეჯერების თქმით, ისინი მოხარულები იქნებიან, დღიურად 20-30 ლარი გადაიხადონ ჩაის მოკრეფისათვის. ეს უკვე თვეში 400-900 ლარის შემოსავალს უდრის, რაც სოფლის მოსახლეობისთვის უმნიშვნელო შემოსავალი არაა.

10.3 ბარემოზა ზემოქმედება

ჩაის პლანტაციების ქონას რამდენიმე დადებითი ეფექტი აქვს გარემოზე. პირველ რიგში, უნიკალური კლიმატური პირობების გამო, საქართველოში ჩაის პლანტაციები დაცულია დაავადებებისგან და არ საჭიროებს პესტიციდების გამოყენებას. ამიტომ ჩაი საქართველოში ნიადაგს არ ფიტავს და ეკოლოგიურად გამართლებული პრაქტიკაა. ჩაის ბუჩქს ძალიან ღრმა და ძლიერი ფესვები აქვს, განსაკუთრებით მაღალმთიან ადგილებში, რასაც შეუძლია მენყრის, ღვარცოფის და სხვა სტიქიური უბედურებების თავიდან აცილება.

11. მსჯელობა და რეკომენდაციები

11.1 ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი შიზღუდვები

ამ ნაწილში საქართველოში ჩაის პლანტაციების დაბალი პროდუქტიულობის გამომწვევ ფაქტორებს წარმოვადგენთ.

11.1.1 საწარმოო შიზღუდვები

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ჩაის პლანტაციების დასამუშავებლად საჭირო ტექნიკისა და ინსტრუმენტების ნაკლებობა, რომელიც საწარმოო შიზღუდვად გვევლინება. როგორც წესი, ფერმერებმა არ იციან მოსავლიანობის გაზრდის მეთოდების შესახებ. უფრო მეტიც, ლიკვიდურობის შიზღუდვებისა და ისეთი ქცევითი გადახრების გამო, როგორცაა მოუთმენლობა (დუფლო, 2011 წ.), ფერმერები თავს იკავებენ სასუქებისა და ჰერბიციდების გამოყენებაში მომგებიანი ინვესტიციების ჩადებისგან.

მაღალი ხარისხის ჩაის მოსავლის აღებაში გამოუცდელი მუშახელი, თავისმხრივ, შეიძლება იყოს პრობლემა. ჩვენ მიერ გამოკითხული მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ არაერთხელ ჰქონიათ პრობლემა კვალიფიციური მუშახელის აყვანასთან დაკავშირებით. ისინი ასახელებენ რამდენიმე ხელისშემშლელ ფაქტორს, როგორცაა ჩაის კრეფის უნარის თაობათაშორისი გადაცემის არარსებობა, რაც ჩაის წარმოებაში გრძელვადიანმა წყვეტამ განაპირობა, სასწავლო პროგრამების არარსებობა, ისეთი „მოზიდვის ფაქტორები“, როგორებიცაა დასაქმების შესაძლებლობები საზღვარგარეთ და ურბანული მიგრაცია, რომელიც სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს უკარგავს სოფელში დარჩენისა და ჩაის პლანტაციებში მუშაობის სტიმულს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ფერმერებს ხელს უშლის პლანტაციების ხელახალ დამუშავებაში ინვესტირებაში, არის მაღალი ქირა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ პლანტაციებზე, რომელიც 1 ჰა-ზე დაახლოებით 350-450 ლარს შეადგენს. პლანტაციები გამოსაყენებლადაც უვარგისია, ბუნებებს ესაჭიროება მძიმე გასხვლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ პლანტაციებს გასხვლის შემდეგ 3 წელი სჭირდება, რომ ისევ პროდუქტიული გახდეს, ინვესტორები ძალიან დიდი დაკარგული დანახარჯების წინაშე

დგებიან მყისიერად და ამიტომაც ადვილად ამბობენ უარს რესურსების ჩაის სექტორში დაბანდებაზე.

11.1.2 გადამამუშავების შიზღუდვები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადამამუშავების ეტაპზე მთავარი შიზღუდვა ნედლეულის ნაკლებობაა. ჩვენ მიერ გამოკითხულ ჩაის მწარმოებელთა და გადამამუშავებელ ფერმერთა უმეტესობა იძულებულია, საკუთარ საოპერაციო შესაძლებლობებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობა აწარმოონ. მაგალითად, კოოპერატივს გურია-14-ს შეუძლია, დღეში 2 ტ. ჩაის ფოთოლი გადაამუშაოს. თუმცა, ვინაიდან ვერ იღებს საკმარისი რაოდენობით ნედლეულს, კოოპერატივმა 2015 წელს მხოლოდ 10 ტ. ნედლეული გადაამუშავა.

სხვა ჩაის გადამამუშავებლები უფრო ფუნდამენტური პრობლემების წინაშე არიან, როგორებიცაა ახალი მანქანების და შესაფერისი მოქმედი საწარმოო საშუალებების ნაკლებობა, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია მაღალი ხარისხის ჩაის გადასამუშავებლად. ქარხნების განახლება და ტექნიკის შესყიდვა (რომელიც უმეტესწილად ჩინეთიდან და იაპონიიდან შემოდის), როგორც წესი, ათასობით დოლარი ჯდება. ლიკვიდურობასა და ფინანსებზე (ძალიან მაღალი გირავნობის მოთხოვნების გამო) წვდომასთან დაკავშირებული შიზღუდვები ხელს უშლის ფერმერებს, განავითარონ მაღალი ხარისხის ჩაის გადამამუშავებელი ხაზები. ENPARD-ის მსგავსი ინიციატივები მნიშვნელოვანი ნაბიჯია კოოპერატივების ლიკვიდურობის შიზღუდვების გამარტივებისთვის. კერძოდ, ENPARD გასცემს გრანტს, რომელიც შეიძლება მოხმარდეს ქარხნებისა და ტექნიკის განახლებას.

ფერმერთა უნარი, ფოკუსირდნენ მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებაზე, კიდევ უფრო იზღუდება ჩაის გადამამუშავებელი ტექნოლოგიის შესახებ ცოდნის ნაკლებობით. ეს ხელს უშლის მათ, აწარმოონ სხვადასხვა სახის ჩაი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მათ მარკეტინგულ პოტენციალს, რადგან შეძლებდნენ საკუთარი პროდუქცია უფრო მიმზიდველი და აღქმადი გაეხადათ მომხმარებლების თვალში.

ახალი კანონმდებლობა, გავრცელებული ინფორმაციით, შეზღუდავს კოოპერატივების შესაძლებლობას, გადაამუშაონ შესყიდული ნედლეულის 30%-ზე მეტი. ამ კანონს მნიშვნელოვნად გამანადგურებელი ეფექტი ექნება ჩაის გადამამუშავებელი კოოპერატივების შემთხვევაში, რადგანაც მათი უმეტესობა არ ფლობს ჩაის პლანტაციებს და უმეტესწილად მცირე მასშტაბის ფერმერებისგან შესყიდულ ნედლეულს ამუშავებს. ამდენად, კანონი დაბრკოლება იქნება მთავრობის გამოცხადებული მიზნის მიღწევისთვის, რომელიც ქართულ სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების ჩამოყალიბების მხარდაჭერას გულისხმობს.

11.1.3 მარკეტინგული შეზღუდვები

თითქმის ყველა ჩაის გადამამუშავებელ ფერმერს/ქარხანას და კოოპერატივს აქვს მარკეტინგის ცოდნის პრობლემა. შედეგად, მათ არ აქვთ კარგად განსაზღვრული სარეკლამო და ბრენდინგის სტრატეგიები. ეს მნიშვნელოვნად ასუსტებს ახალ ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობას. ადგილობრივ ქართულ ბაზარზეც კი ქართული ჩაი არაა პოპულარული, რადგან მომხმარებლებმა არ იციან ადგილობრივად წარმოებული ჩაის უპირატესობების შესახებ. ფაქტობრივად, მათ ადგილობრივი მცირემასშტაბიანი ჩაის მწარმოებლების არსებობის შესახებაც კი არ იციან.

ახალ ბაზრებზე წვდომას კიდევ უფრო ზღუდავს პროდუქციის დიფერენცირების სიმწირე. საექსპორტო ბაზრებზე წვდომის მოპოვება ძალიან რთულია განვითარებულ ქვეყნებში მაღალი ხარისხის სტანდარტების მოთხოვნებისა და მნიშვნელოვანი სავაჭრო ბარიერების გამო. ამასთან, ქსელურ ურთიერთობებში გამოუცდელობა ჩაის გადამამუშავებელ ფერმერებს ხელს უშლის კაფეებთან, ჩაის სახლებთან, რესტორნებთან, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებთან ხელშეკრულების დადებაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ცნობადობასა და გაყიდვებს. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება მცირე ფერმერების უუნარობით, მუდმივად მიაწოდონ პროდუქცია ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

11.2 რეკომენდაციები

როგორც უკვე დავადგინეთ, ძლიერი კონკურენციის, მოგების დაბალი მარჟისა

და კლებადი ფასების, ძვირადღირებული ადგილობრივი მუშახელისა და ჩაის პლანტაციების სიმცირით განპირობებული მსხვილმასშტაბიანი ინდუსტრიული წარმოების შეუძლებლობის გამო, დაბალი ხარისხის ჩაის წარმოება საქართველოს ჩაის სექტორის განვითარებისთვის არაა ეფექტიანი გრძელვადიანი სტრატეგია. ამის ნაცვლად, ხელსაყრელი კლიმატური პირობებისა და პოსტ-საბჭოთა მომხმარებლებს შორის ჯერ კიდევ არსებული ბრენდის ცნობადობის გამო, სასურველია, ქართული ჩაის სექტორი ორიენტირდეს მაღალი ხარისხის ნიშის პროდუქტის წარმოებასა და ძვირადღირებულ საექსპორტო ბაზრებზე.

მაღალი ხარისხის ქართული ჩაის ბრენდის (მათ შორის ორგანული ჩაის) განვითარება და ხელშეწყობა შესაძლებელია, მაგალითად, საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ჩამოყალიბებით. ჩაი, ღვინის მსგავსად, შეიძლება ჩაითვალოს პრემიუმ ბრენდად, ამიტომ მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები მსოფლიო მასშტაბით ქართული ჩაის პოპულარიზებისა და ქართველი ჩაის მწარმოებლების საერთაშორისო გამოფენებსა და ჩაისთან დაკავშირებულ კონფერენციებზე გაგზავნის მიზნით. კერძო კომპანიები უნდა ცდილობდნენ ქართული ჩაის მაღალი ხარისხის იმიჯის შექმნასა და შენარჩუნებას. მათ უნდა გაიაზრონ, რომ იმპორტირებული იაფი და დაბალი ხარისხის ჩაის ნედლეულის ადგილობრივ პროდუქციასთან შერევით მიღებულმა ხარისხის კომპრომისმა, შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს ბრენდს და ყველასთვის წამგებიანი სტრატეგია იქნება გრძელვადიან პერიოდში. მთავრობას, ასევე, შეუძლია ბრენდის სახელის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება. ამ გარემოების გამო, შესაძლებელია, ქართული ჩაის ბრენდის ქვეშ მომუშავე კერძო გადამამუშავებელ ფერმერებს მოეთხოვოთ საბოლოო პროდუქტის წარმოებისთვის გამოყენებული ნედლეულის წარმოშობის ადგილისა და ხარისხის მითითება.

თუმცა მაღალი ხარისხის ქართული ჩაის ბრენდის მდგრადობისთვის ჩაის სექტორმა უნდა გადალახოს წინა ქვეთავში გამოკვეთილი სამი მთავარი შეზღუდვა – საწარმოო, გადამამუშავებისა და მარკეტინგული შეზღუდვები.

პირველ რიგში, ჩაის ფოთლის შეზღუდული წარმოების საკითხს რომ შევცხოთ, აუცილებელია, რომ მთავრობამ და კერძო

სექტორმა კოორდინირებულად იმუშაონ არსებული პლანტაციების ხელახლა მუშა მდგომარეობაში დაბრუნებისათვის. ამჟამად საქართველოს მთავრობა ჩაის სექტორის განვითარებისთვის 2016 წლის ბიუჯეტიდან 3.5 მილიონი ლარის გამოყოფას განიხილავს. მთავრობა, საბიუჯეტო დოკუმენტის მიხედვით, დაახლოებით 2000 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას გეგმავს. გამოყოფილი ფონდის უმეტესი ნაწილი ბუჩქების გასხვლასა და პლანტაციების შემოღობვაზე დაიხარჯება. ეს კარგი სიახლეა ქართული ჩაის ინდუსტრიისთვის. თუმცა ხელისუფლებას ურჩევნია, ფრთხილად იმოქმედოს და პასუხისმგებლობით მოეკიდოს გეგმის შესრულებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ პლანტაციების რეაბილიტაციის დასრულებისა და მოსავლის აღებისთვის მომზადების შემდეგ, მათ არ მიატოვებენ ან სხვა მიზნებისთვის არ გამოიყენებენ. მთავრობას შეუძლია ამ მიზნის მიღწევა არაპირდაპირი სუბსიდიების (ქირისა და საგადასახადო შეღავათების) გამოყენებით, შეღავათიანი სესხებისა და ხარჯების განაწილების პროგრამების (მაგ.: „აწარმოე საქართველოში“) გზით. მთავრობისთვის კიდევ ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს, ღირებულებათა სხვადასხვა მოთამაშების ხართვა დიდ, ვერტიკალურად ინტეგრირებულ მიწოდების ჯაჭვებში (მაგ.: კოოპერატივებში). მაგალითად, საშუალო და მსხვილმასშტაბიანი გადამამუშავებლების ნედლეულზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ფერმერებსა და გადამამუშავებლებს შორის კავშირების ჩამოყალიბებას, რაც დაეხმარება გადამამუშავებელ ფირმებს, სტაბილურად მიიღონ ჩაის ფოთლის მნიშვნელოვანი რაოდენობა მცირემასშტაბიანი ინდივიდუალური ფერმერების მიერ ახლად დამუშავებული პლანტაციებიდან. თუმცა ეს შეთავაზება უნდა ითვალისწინებდეს პირობას, რომ გადამამუშავებელი ქარხნები იქნებიან ინდივიდუალური ფერმერების პარტნიორები და ნედლეულის საფასურთან ერთად მათ დივიდენდებსაც მისცემენ. ამგვარად, ვერტიკალურად ინტეგრირებული მიწოდების ჯაჭვი მოაგვარებს მსხვილმასშტაბიანი

გადამამუშავებელი ქარხნების წინაშე არსებულ საწარმოო შეზღუდვებს, მცირე ფერმერების წინაშე არსებულ გადამამუშავების შეზღუდვებს და ინდივიდუალურ ფერმერებს მეტი სტიმული ექნებათ, იმუშაონ და მოუარონ საკუთარ პლანტაციებს, რადგან ისინი მიიღებენ დამატებული ღირებულების ნაწილს, რომელიც ღირებულებათა ჯაჭვის მომდევნო ეტაპებზე კიდევ უფრო მეტია. მეტიც, ღირებულებათა ჯაჭვის უფრო მეტი მონაწილე შეიძლება გაერთიანდეს ამ კონკრეტულ კოოპერატივში, მათ შორის ბითუმად მოვაჭრეები, ბროკერები და ექსპორტიორები, რომელთაც აქვთ გამოცდილება შეფუთვაში, ბრენდინგსა და მარკეტინგში. ერთად მუშაობისას ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები უფრო მეტად გააცნობიერებენ, რომ საკუთარი პროდუქციის ხარისხისა და ბრენდის იმიჯის დაცვა სწორედ მათივე ინტერესებში შედის.

რადგანაც ფერმერთა ცოდნის ხარვეზები მნიშვნელოვანი შეზღუდვაა, რომელიც გავლენას ახდენს ჩაის სექტორზე, ექსპორტზე ორიენტირებული ბრენდინგის სტრატეგიისთვის უაღრესად სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის მართვის, მარკეტინგისა და ჩაის გადამამუშავებელი ტექნოლოგიების პროფესიული განათლების ცენტრები. ამასთან, მთავრობასა და კერძო სექტორს შეუძლია ერთობლივად აღზარდოს სექტორის განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მქონე ახალი თაობა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია როგორც საერთაშორისო ექსპერტების ჩამოყვანით, ისე ცოდნის მიღების მიზნით ადგილობრივი სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნით, იმ პირობით, რომ სამშობლოში დაბრუნდებიან და შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ჩაის სექტორის განვითარებას მოახმარენ.

ამ ყველაფრის გასაკეთებლად ბევრი დრო აღარ დარჩა. მართალია, ქართული ჩაის ბრენდი ჯერ კიდევ ახსოვთ (პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს და იქ მცხოვრებ ქართველებს), მაგრამ ეს მოგონება მალე შეიძლება დავიწყებას მიეცეს.

ბიბლიოგრაფია

დ. ბალდასარი და გ. გროსმანი (2011 წ.). სანქციების ცენტრალიზებული სისტემა და უფლებამოსილი მმართველი ორგანო ხელს უწყობს კოოპერაციის განვითარებას. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 108(27), 11023-11027;

კ. ჩენგი (2015 წ.). ჩაის წარმოება და ვაჭრობა მსოფლიოში: მიმდინარე და მომავალი განვითარება. *FAO Intergovernmental Group on Tea*;

ვ. ჭიაურელი (1988 წ.). ქართული მიწის ბარაქა. თბილისი, საბჭოთა საქართველო;

ს. დობორჯინიძე (2008 წ.). ჩაის წარმოების სექტორის განვითარების გზები საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სადოქტორო დისერტაცია);

ე. დუფლო, მ. კრემერი და ჯ. რობინსონი (2009 წ.). ფერმერთა წახალისება, გამოიყენონ სასუქები. თეორიული და ექსპერიმენტული მტკიცებულებები კენიიდან (No. w15131). *National Bureau of Economic Research*;

ა. რ. ერთენი (1924 წ.). სასოფლო-სამეურნეო ინსპექცია ჩრდილოაღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პუბლიკაციები, 92;

ჩ. ფენგი, ი. ვენგი, ხ. ზენგი და ჯ. ჰუანგი (2014 წ.). ჩაის მცირე შინამეურნეობები და ღირებულებათა ჯაჭვის ჩამოყალიბება ჩინეთში. რომი: გაერთიანებული ერების ჩაის მთავრობათშორისი ჯგუფის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია;

ბ. ჰოლი (2000 წ.). ჩაის მრეწველობა. ელსევიერი;

ჯ. ჰამფრი (2005 წ.). აგრობიზნესში გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის მიზნით ღირებულებათა ჯაჭვის ფორმირება. *Deutsche Gesellschaft fur Technische Zusammenarbeit (GTZ)*;

რ. კაპლინსკი და მ. მორისი (2001 წ.). ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის სახელმძღვანელო (113-ე თავი). ოტავა: IDRC;

ი. კოჭლამაზაშვილი, ლ. სორგი, ბ. გონაშვილი, ნ. ქანტურია, ფ. მამარდაშვილი (2014 წ.). საქართველოს ცხვრის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. ჰეიფერ ინტერნეშენალ საქართველო;

ნ. მელიკანი (2003 წ.). CERMA სურსათისა და სასმელების მრეწველობის რესტრუქტურის პროექტი: ქართული ჩაის მრეწველობა;

გ. ნახუცრიშვილი (2012 წ.). ქართული (სამხრეთ კავკასიური) მცენარეულობა (მე-15 თავი). *Springer Science & Business Media*;

მ. ოლსონი (1965 წ.). კოლექტიური ქმედების ლოგიკა: საზოგადოებრივი საკუთრება და ჯგუფების თეორია, განახლებული გამოცემა. კემბრიჯი: ჰარვარდის უნივერსიტეტის პრესა;

მ. ე. პორტერი (2008 წ.). კონკურენტული უპირატესობა: აღმატებული მუშაობის შექმნა და შენარჩუნება. სიმონი და შუსტერი;

ა. რ. საქელი (2011 წ.). თურქული ჩაის სექტორის მიმდინარე სექტორული ცვლილების კრიტიკული მიმოხილვა. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალი, 6(1), 1-7;

ლ. სორგი (2012 წ.). ქართული თბილის ღირებულებათა ჯაჭვი, ციურიხის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტის სამაგისტრო ნაშრომი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA). (www.acda.gov.ge), 2015 წლის ივლისის მონაცემები;

CNN-ის საერთაშორისო გამოცემა +, 2015 წლის ოქტომბრის მონაცემები <http://edition.cnn.com/2014/06/22/travel/china-tea-travel/>

ISSET Economist Blog (<http://iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2>), 2015 წლის სექტემბრის მონაცემები;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (www.moa.gov.ge), 2015 წლის სექტემბრის მონაცემები;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge), 2015 წლის სექტემბრის მონაცემები;

Sunshine Teas, 2015 წლის ოქტომბრის მონაცემები, <https://sunshineteas.wordpress.com/2015/04/19/tea-tourism-in-uganda/>

ტელეგრაფი, 2015 წლის ოქტომბრის მონაცემები, <http://www.telegraph.co.uk/travel/destinations/asia/india/articles/Darjeeling-tea-at-the-top-of-the-Himalayas/>

დანართი

ჩანართი A1: ჩაის სექტორში ჩართულ პირთა რეგიონული ფორუმის კომუნიკე

2015 წლის 1 ივლისს, ქ. ქუთაისში (სასტუმრო „ბაგრატში“) გაიმართა ჩაის სექტორში ჩართულ პირთა რეგიონული ფორუმი. ეს ფორუმი იყო ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ქეა საერთაშორისოსთან, რეგიონული განვითარების ასოციაციასა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით ორგანიზებული პირველი ღონისძიება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების დიალოგების სერიიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EN-PARD-ის პროექტის – „თანამშრომლობა სოფლის კეთილდღეობისათვის საქართველოში“ – ფარგლებში. მსგავსი ტიპის ფორუმი მანამდეც გამართულა ENPARD-ის სხვა კონსორციუმის მიერ სხვადასხვა შესაფერისი ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ.

ფორუმის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მეჩაიეობის დარგში არსებული პრობლემების გამოვლენა, ჩაის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული წარმოების საშუალებების, მიმწოდებლების, ფერმერების, კოოპერატივების, გადამამუშავებლების, ბაზრის შუამავლების, მომხმარებლებისა და ექსპორტიორების წინაშე არსებული დაბრკოლებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, სექტორის პროდუქტიულობის გაუმჯობესება, ახალი საექსპორტო ბაზრების გამოვლენა, ჩაის ბრენდების განვითარება და სწორად პოზიციონირება ბაზარზე.

ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ: ხუან ეჩანოვი – ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, გონა ცოფურაშვილი – სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გიორგი მიშელაძე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, ნინო ზამბახიძე – საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ადამ პელილო – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), შოთა ბითაძე – შპს ბითაძე, თენგიზ სვანიძე – ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია, სილვია სანხუანი – ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE), ENPARD-ის პროექტის განმახორციელებელი კონსორციუმების (CARE, Mercy Corps, Oxfam), საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა (GFA) და გაეროს

სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) წარმომადგენლები; ჩაის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები: კომპანია გურია-14, ნაგომრის ჩაი, ჩიბათი, დუცი, მამათი-2020, ჩაის სურნელი, ფანდისეული 2014, კიბულა 2014, მთის ჩაი, კონჭკათი 2015, ეკომიგრანტი და ა.შ.; სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის გამგებლები; კერძო სექტორის წარმომადგენლები: „ქართული ჩაი“, „ნატურა თი კომპანი“, შპს „ბითაძე“, შპს „ჯეოპლანტი“(გურიელი), შპს „არომატ 91“ და ა.შ.; ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ნინო ზამბახიძემ და ხუან ეჩანოვიმ საქართველოში სექტორის მნიშვნელობაზე დისკუსიით გახსნეს ფორუმი. ISET-ის წარმომადგენელმა ადამ პელილომ შეხვედრის დასაწყისში წარმოადგინა ფაქტები და რიცხვები სექტორის შესახებ, ასევე, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დიალოგის მიზნები და სტრუქტურა.

საქსტატის მონაცემებით, ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში 2006-2014 წლებში 6,6 ათასი ტონიდან 1,8 ათას ტონამდე შემცირდა. ამავე მონაცემების მიხედვით, 2014 წელს შავი ჩაის ექსპორტის ღირებულება სხვადასხვა ქვეყნებში 1 377 000 ა.შ.შ. დოლარია, მწვანესი – 952 000. მაშინ, როდესაც იმპორტირებული შავი ჩაის ღირებულება 8 008 000 ა.შ.შ. დოლარს, ხოლო მწვანესი 565 000 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. ამ ეტაპზე საქართველოში დარეგისტრირებულია მეჩაიეობის 27 კოოპერატივი, რამდენიმე მცირე და საშუალო მასშტაბის გადამამუშავებელი ფაბრიკა და ოთხი ფართომასშტაბიანი.

შეხვედრის დასაწყისში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გონა ცოფურაშვილმა ისაუბრა ჩაის პლანტაციების ამჟამინდელ მდგომარეობაზე. მისი თქმით, შემორჩენილი ჩაის პლანტაციებიდან მხოლოდ 9,000 ჰა ექვემდებარება რეაბილიტაციას; დღევანდელი მდგომარეობით, მხოლოდ

1,970 ჰა იძლევა ჩაის ფოთოლს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს შემუშავებული ჩაის რეაბილიტაციის სტრატეგია და 5-წლიანი სამოქმედო გეგმა. შექმნილია დარგობრივი კომისია, რომელიც მუშაობს შემდეგ საკითხებზე: გავრანებული ჩაის პლანტაციების აღწერა, მათი რეაბილიტაცია (შემოღობვა, მძიმე გასხვლა, ნახევრად მძიმე გასხვლა და ა.შ.), შესაბამისი ტექნიკისა და ფინანსური წყაროების მოძიება და ა.შ. მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან თანამშრომლობა, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნას გარე ფაქტორები და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესები. რადგანაც ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია საკმაოდ ძვირია, მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა პრიორიტეტული მხარეების სწორად განსაზღვრის მნიშვნელობას. ძირითადი სამუშაოები ჩატარდება გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. ასევე, საქსტანდარტმა უნდა განსაზღვროს ექსპორტზე გასატანი ჩაის ხარისხის სტანდარტები, პროდუქტს უნდა მიენიჭოს გეოგრაფიული მაჩვენებლები. შემდეგი ეტაპია მცირე მწარმოების ჩამოყალიბება და ხელშეწყობა. ასევე, იგეგმება ჩინეთიდან ნერგების ჩამოტანა და ზოგადად ჩინეთთან თანამშრომლობა ჩაის მიმართულებით.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ნინო ზამბახიძის თქმით, ასოციაცია შეაგროვებს ფერმერთა შეკითხვებს და მოსაზრებებს დარგში არსებული პრობლემების შესახებ, მიაწვდის მათ სამინისტროს და იზრუნებს სამინისტროს მხრიდან დროული რეაგირებასა და პასუხებზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი მიშელაძეს თქმით უკვე დარეგისტრირებულია მეჩაიეობის 27 კოოპერატივი, მათ შორის მეორე დონის კოოპერატივიც. მიშელაძემ დასძინა, რომ სახელმწიფოს ხედვა გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას და კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სახელმწიფო სააგენტოებსა და დონორ ორგანიზაციებთან ერთად, დაეხმარება ფერმერებს პლანტაციების კულტივირებაში. თანამშრომლობა აძლევს მათ შესაძლებლობას, აწარმოონ მაღალი ხარისხის ჩაი, რომელიც ჩაანაცვლებს დაბალხარისხიან იმპორტირებული

პროდუქციის. ჩაის დარგის ექსპერტის, შპს ბითაძის ხელმძღვანელის, შოთა ბითაძეს თქმით, ამჟამად ჩაის სექტორში არსებული პრობლემებიდან აღსანიშნავია სტანდარტების არარსებობა. აუცილებელია, დაიწყოს ჩაის სტანდარტიზაცია, რომელიც ჩაის ყველამწარმოებელმა უნდა გაიზიაროს. აგრეთვე, აუცილებელია არსებული ჯიშების გაუმჯობესება, სანერგებისა და სადემონსტრაციო პლანტაციების მოწყობა. რეგიონების მიხედვით უნდა შეიქმნას სამოდელო ფაბრიკები თავიანთი ნედლეულის ბაზით. მან დასძინა, რომ აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, რაც პროდუქციას საექსპორტო სახეს მისცემს. მისი აზრით, ჩაის პლანტაციები უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრებაში, კოოპერატივებს კი უნდა ჰქონდეთ პლანტაციების იჯარით აღების საშუალება. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ჩაის პლანტაციების პასპორტიზაცია, რათა დადგინდეს, თუ რომელი ექვემდებარება აღდგენას. მწარმოებლებმა უნდა იცოდნენ სწორი ტექნოლოგია, რათა მიიღონ ხარისხიანი პროდუქცია, სურსათის ეროვნული სააგენტო კი უნდა ამოწმებდეს პროდუქციის ხარისხს.

ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, თენგიზ სვანიძემ აქცენტი გააკეთა შიდა ბაზრის ათვისების მნიშვნელობაზე. აუცილებელია, რომ ქართულმა ჩაიმ დაიმკვიდროს ადგილი ქართულ ბაზარზე, ვინაიდან შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ იმპორტირებული ჩაის უმრავლესობა უხარისხოა და გაჭერებულია ქიმიური დანამატებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არის ჩაის ფოთლის დეფიციტი. მოქმედი ჩაის პლანტაციების რაოდენობაც მცირდება.

საკუთარი მოსაზრება გამოთქვა მიხეილ ჭკუასელმა, კომპანია „გურიელის“ დირექტორმა. მისი თქმით, ჩაის ბაზარზე ყველასთვის არის ადგილი, თუ მსხვილ და წვრილ მწარმოებლებს შორის დამყარდება სწორი კავშირები. „გურიელი“ მზადაა, შეისყიდოს ჩაის ფოთოლი ადგილობრივი ფერმერებისგან/კერძო კოოპერატივებისგან. აუცილებელია, მოხდეს ტექნოლოგიურ ხაზებში კორექტირების შეტანა, მაგ. სასურველია იაპონური და ჩინური მეთოდების გამოყენება, რაც ქართულ ჩაის მეტ ღირებულებას შესძენს. აუცილებელია,

ჰერბიციდებისა და პესტიციდების გამოყენების აკრძალვა საკანონმდებლო დონეზე, რაც, აგრეთვე, გაზრდის ჩაის ღირებულებას და ეკო-პროდუქტის სახეს მისცემს მას.

კოოპერატივის კომპანია გურია-14 წარმომადგენელმა ისაუბრა ფერმერების და კოოპერატივების ჩართულობის აუცილებლობაზე ჩაის სექტორთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მისი აზრით, მეწარმის ხელშეწყობა მთავარი გასაღებია. სახელმწიფომ მეწარმეს ლიზინგის წესით უნდა გადასცეს ჩაის ფაბრიკები და პლანტაციები, მისცეს დაბალპროცენტიანი აგროკრედიტი და 3-5 წლით გაათავისუფლოს მიწის გადასახადისგან.

რამდენიმე მოსაზრება, რომელზეც მონაწილეები გარკვეულწილად შეთანხმდნენ, იყო:

- ჩაის სექტორში რეფორმების გატარება, მეჩაიეობის კოოპერატივების მხარდაჭერა და სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი მონაწილეების სწორად დაკავშირება;
- ჩაის პლანტაციების რეკულტივაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება, მათ შორის კერძო სექტორიდან;
- სახელმწიფოს ხელში არსებული პლანტაციების გასხვისების მექანიზმის


შემუშავება;

- ადგილობრივი ბაზრის წინ წამოწევა, პოტენციურად ბრენდირების სტრატეგიის ჩამოყალიბებით, რომელიც ხაზს გაუსვამს ქართული ჩაის წარმოების და გადამამუშავების ორგანულობას;
- კავშირების ჩამოყალიბება ფერმერთა ჯგუფების და მეჩაიეობის კოოპერატივების ფართომასშტაბიანი გადამამუშავებელ საწარმოებთან;
- იმპორტჩამნაცვლებელი მარკეტინგული სტრატეგიის შესაძლო მომგებიანობა.

ფორუმის ორგანიზატორი პროექტის დირექტორმა, სილვია სანხუანმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს აქტიურობისთვის და აცნობა, რომ დიალოგის პლატფორმა ჩაის შესახებ ისევ ღიაა და შეხვედრის დროს განხილულ მთავარ საკითხებს ჩაუტარდება მონიტორინგი და ღრმად იქნება განხილული მომავალ შეხვედრებზე. ამასთანავე, ჩაის სექტორში ჩართულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია არსებული წინსვლის შესახებ.


ფორუმის დასკვნით ნაწილში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გონა ცოფურაშვილმა აღნიშნა, რომ მოხდება აგროწარმოებაში ჩართული ორგანიზაციების გაძლიერება და ამ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჩაის სექტორს. პრიორიტეტული გახდება აგროდაზღვევაც. ცოფურაშვილის თქმით, პირველ ეტაპზე მოხდება ჩაის პლანტაციებში არსებული მდგომარეობის აღწერა-ინვენტარიზაცია.

გრაფიკი A1: ექსპორტ-იმპორტის კოეფიციენტი ღირებულების მიხედვით 2000-2014 წლებში




წყარო: საქსტატი

გრაფიკი A2: ჩაის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა 2009-2014 წლებში




წყარო: საქსტატი

გრაფიკი A3: საქართველოდან ჩაის ექსპორტიორი ქვეყნების ათეული ღირებულების მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო)




წყარო: საქსტატი

გრაფიკი A4: საქართველოდან ჩაის ექსპორტიორი ქვეყნების ათეული მოცულობის მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო)




წყარო: საქსტატი

ჩაის ექსპორტი ღირებულების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)




ჩაის ექსპორტი მოცულობის მიხედვით
(ტონა)




წყარო: საქსტატი

გრაფიკი A6: საქართველოში ჩაის იმპორტიორი ქვეყნების ათეული ღირებულების მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო)




წყარო: საქსტატი

გრაფიკი A7: საქართველოში ჩაის იმპორტიორი ქვეყნების ათეული მოცულობის მიხედვით (2009-2013 წლების საშუალო)




წყარო: საქსტატი

ჩაის იმპორტი ღირებულების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

ჩაის იმპორტი მოცულობის მიხედვით
(ტონა)



წყარო: საქსტატი, ITC

გრაფიკი A9: საქართველოში ჩაის საშუალო ფასები 2006-2014 წლებში



ცხრილი A1: გამოკითხული ადამიანების სია

№	გამოკითხული ადამიანი	ორგანიზაცია	ადგილმდებარეობა
ვიზიტები (პირისპირ ინტერვიუები)			
1	მიხეილ ქკუასელი, გორა ძნელაძე	შპს გეოპლანტი	ოზურგეთი
2	გიორგი ხუჭუა	ანასეულის ჩაის კომპანია	ოზურგეთი, ანასეული
3	თემურ ჯაში	შპს აგროფირმა ქობულეთი	ქობულეთი, კვირიკე
4	ირაკლი ღლონტი	შპს მილმართი	ოზურგეთი, შემოქმედი
5	გელა ზოიძე	კოოპერატივი ჩიბათი	ლანჩხუთი, ჩიბათი
6	გიორგი ტრაპაიძე, ავთანდილ ლომთათიძე	კოოპერატივი კომპანია გურია-14	ჩოხატაური, ხიდისთავი (ქვენობანი)
7	ტარიელ ნებიერიძე	კოოპერატივი მამათი 2020	ლანჩხუთი, მამათი
8	დავით თენიშვილი	კოოპერატივი ბახვის ჩაი	ოზურგეთი, ბახვი
9	ვალერი კაპანაძე	კოოპერატივი მთის ჩაი	ჭიათურა, ნიგოზეთი
სატელეფონო ინტერვიუები			
1	ლევან ფიფია	შპს ჯვარი 91	წალენჯიხა
2	ურა დალაქიშვილი	შპს ტყიბულის ჩაი	ტყიბული
3	ნადიმ დიდმანიძე	შპს აჭარა ინვესტ ჩაი	ხელვაჩაური
4	შოთა დიდმანიძე	შპს ნაზირი და კომპანია	ხელვაჩაური
5	ლევან ოქროპირიძე	შპს ემირი	ქობულეთი
პირისპირი ინტერვიუები ექსპერტებთან			
1	თამაზ კუნჭულია	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	თბილისი
2	გურამ იობიშვილი	RICC ოზურგეთი	თბილისი
3	შოთა ბითაძე	შპს ბითაძე	თბილისი
4	თენგიზ სვანიძე	ჩაის მწარმოებლების ასოციაცია	თბილისი
5	თამაზ მიქაძე	ჩაის გადამამუშავებელთა ასოციაცია	თბილისი
6	გოდერძი გოდერძიშვილი	CARE საერთაშორისო კავკასიაში	თბილისი
7	სიმონ ეფლბი	YFN საქართველო	თბილისი
ფოკუს ჯგუფები			
1	ნარგიზა ღვინჯილია	კოოპერატივი ჩაის სურნელი	წალენჯიხა
	ვეფხია ბელქანია	კოოპერატივი გორგასალი	
	გონერი სალია	შპს ლაზი	
2	გელა ზოიძე	კოოპერატივი ჩიბათი	ლანჩხუთი, ჩიბათი
	ზაზა ურუშაძე	ლანჩხუთის გამგებელი	
3	RICC - ის წევრები	სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები	წალენჯიხა
ჩაის საქტორის დაინტერესებული მხარეების ფორუმი			
1	დაახლოებით 120 მონაწილე	ჩაის სექტორის დაინტერესებული მხარეები	ქუთაისი
ჩაის ფასტივალი თბილისში თბილისობის ფარგლებში			
1	დაახლოებით ჩაის 10 მწარმოებელი	ჩაის მცირე, საშუალო და მსხვილი მწარმოებელი ან მარკეტინგული კომპანიები	თბილისი

ცხრილი A2: 1 ჰა კარგად მოვლილი, პროდუქტიული ჩაის პლანტაციის მფლობელი მცირე ფერმის (ან შინამეურნეობის) დანახარჯები და სარგებელი

დანახარჯები	დანახარჯები 1 კგ. ჩაის ფოთლის წარმოებაზე (ლარი)	3 ტონაზე მთლიანი დანახარჯები (საშუალოდ) (ლარი)
მიწის დამუშავება (გამარგვლა, მოხვნა რიგებს შორის)	0.13	400
სასუქები	0.10	300
მოსავლის ამღების ხელფასი	0.50	1500
ტრანსპორტირება	0.08	250
ჰერბიციდები	0.07	200
ღობის მოვლა-შეკეთება	0.03	100
გასხვლა და გასუფთავება	0.07	200
მიწის გადასახადი	0.02	70
ჯამი	1.00	3020
შემოსავლები	1კგ-ს საბითუმო ფასი (ლარი)	მთლიანი შემოსავლები (ლარი)
ჩაის ფოთოლი	2	6000
მოგება	მთლიანი ლარებში	
მთლიანი მოგება	2980	
გადასახადი	0	
წმინდა მოგება	2980	
წმინდა მოგების მარჟა	50%	

ცხრილი A3: მცირე გადამამუშავებელი ქარხნის დანახარტები და სარგებელი, რომელიც ყიდულობს და ამუშავებს 1 ტ. ჩაის ფოთოლს და ამზადებს საშუალო და მაღალი ხარისხის დამუშავებულ ჩაის, ყიდის საბითუმო ბაზრებზე, შეფუთვის გარეშე, დაუფასოებელს.

დანახარტები	დანახარტები 1 კგ. დამუშავებულ ჩაიზე (ლარი)	მთლიანი დანახარტები (საშუალოდ) (ლარი)
ნედლეული (ჩაის ფოთოლი)	2 x 4.5 = 9	2250
ტრასპორტირება/მიტანა	0.20	50
ელ. ენერჯია/გაზი/ქვანახშირი	1.00	250
სამუშაო ძალაზე ხარტები/ ხელფასები	1.20	300
შესაფუთი მასალები	0.50	125
დისტრიბუცია	0.50	125
ცვეთა/აღდგენა	0.10	25
ჯამი	12.5	3125
შემოსავლები		
შემოსავლები	საბითუმო ფასი 1 კგ-ზე (ლარი)	მთლიანი შემოსავლები (ლარი)
მაღალი ხარისხის დასაყენებელი ჩაი (შეფუთვის გარეშე)	25	3750
საშუალო ხარისხის დასაყენებელი ჩაი (შეფუთვის გარეშე)	12	1200
ჯამი		4950
მოგება		
მოგება	ჯამი ლარში	
მთლიანი მოგება	1825	
გადასახადი (20%)	325	
წმინდა მოგება	1500	
წმინდა მოგების მარჟა	30%	

შენიშვნა: ზოგიერთი კომპანია ფუთავს და აკეთებს ბრენდინგს თავისი საშუალო ხარისხის ჩაისთვის და ყიდის ბაზარზე ჩაის პაკეტების სახით. ამ შემთხვევაში, დამატებული ღირებულება მაღალია და 1 კგ-ზე 35 ლარს აღწევს. რა თქმა უნდა, დანახარტებიც უფრო მაღალია, მაგრამ შემოსავლები ფარავს მათ და კომპანიის მოგებაც იზრდება.

ცხრილი A4: მსხვილი ზომის ქარხნების ხარჯები და სარგებელი დაბალი ხარისხის ჩაის (დაუფასოებელი ჩაი ტომრებით და აგურა ჩაი) წარმოებისა და დაბალი ხარისხის ბაზარზე მიწოდების დროს

დანახარჯები	1 კგ. დაბალი ხარისხის ჩაის ფოთლის დანახარჯები (ლარი)	1 ჰა ჩაის პლანტაციის დანახარჯები 5 ტ. (საშუალოდ) ჩაის ფოთლით (ლარი)
მიწის დამუშავება (გამარგვლა, მოხვნა რიგებს შორის)	0.10	500
სასუქები	0.08	400
მოსავლის ამღების ხელფასი	0.17	850
მოსავლის ასაღებად საჭირო აღჭურვილობის ხარჯი	0.04	200
ტრანსპორტირება	0.08	400
ჰერბიციდები	0.07	350
ღობის შენარჩუნება	0.02	100
გასხვლა და გასუფთავება	0.04	200
მიწის გადასახადი	0.01	70
ჯამი	0.61	3070

ცხრილი A5: მსხვილი გადამამუშავებელი ქარხნის ხარჯები და სარგებელი, რომელიც აწარმოებს დაბალი ხარისხის ჩაის და გააქვს ექსპორტზე

დანახარჯები	დაბალი ხარისხის 1 კგ. ჩაის დანახარჯი (ლარი)	მთლიან საწარმოო ხარჯებში პროცენტული წილი
ნედლეული (ჩაის ფოთლი)	0.61 ლარი x 3.5 კგ. = 2.14	68%
ელ. ენერჯია/გაზი/ქვანახშირი	0.60	19%
სამუშაო ძალაზე ხარჯები/ ხელფასები	0.20	6%
შესაფუთი მასალები	0.05	1.5%
დისტრიბუცია	0.05	1.5%
ცვეთა/აღდგენა	0.10	4%
ჯამი	3.14	100%
შემოსავლები	საბითუმო ფასი 1 კგ. ექსპორტირებულ ჩაიზე	
დაბალი ხარისხის დასაყენებელი ჩაი (შეფუთვის გარეშე ან აგურა ჩაი)	3.5 ¹⁵	
1 კგ-ზე მოგება	ლარი	
მთლიანი მოგება	0.46	
გადასახადი (20%)	0.092	
წმინდა მოგება	0.368	
წმინდა მოგების მარჟა	10.5%	

¹⁵ მოცემულია გაცვლითი კურსი ნოემბერში, 2015, 1დოლარი=2.4 ლარი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი, რომელიც ერთ სივრცეში უყრის თავს პოლიტიკის კვლევებს, საკონსულტაციო საქმიანობას, ტრენინგებსა და დისკუსიებს საჯარო პოლიტიკის შესახებ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული ორგანიზაციული სინერგია უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას და არის საქართველოსა და რეგიონში დემოკრატიული მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ეკონომიკური განვითარების გარანტი.

დეკემბერი, 2015 წელი

ISET

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
კვლევითი ინსტიტუტი



Agricultural Policy Research Center
at ISET Policy Institute